

მედიაცია – მრავალსაშუალოვანი ქართული ტრადიცია

ნებისმიერი საზოგადოების წარმატება ორ ბორბალს – ტრადიციას და ინოვაციას ეყრდნობა. ერთ-ერთი მათგანის გაჩერებაც საკმარისია, რათა მოძრაობამ მიმართულება დაკარგოს და, წინსვლის სანაცვლოდ, ქვეყანა ერთ ადგილს ტკეპნიდეს დროსა და სივრცეში. ამიტომ ყოველი თაობის ამოცანაა, შეინარჩუნოს ძველი კარგი ტრადიციები და თავადაც საფუძველი დაუდოს სამომავლო კარგ ტრადიციებს.

„სამედიატორო სასამართლო“ სამართლის მეცნიერებაში უძველეს სასამართლო დაწესებულებად მიიჩნევა და საქართველო ამ მხრივ არათუ გამონაკლისს, არამედ ერთ-ერთ სანიმუშო ქვეყანას წარმოადგენს, რომლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უხსოვარი დროიდან მოყოლებული თითქმის XX საუკუნის შუა ხანებამდე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მედიაციის ინსტიტუტს. მეტიც, გარკვეული ცვლილებებით ეს ინსტიტუტი არც თანამედროვე ხალხურ ყოფაში მისცემია დავიწყებას, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის, რათა მრავალსაშუალოვანი ისტორიული ჯაჭვი არ გაწყდეს და მან XXI საუკუნის ქართულ რეალობაშიც თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს.

ეს ტექსტი მიზნად ისახავს ძველი ქართული „სამედიატორო სასამართლოს“ მოკლე მიმოხილვას, რათა მკითხველისათვის ნათელი გახდეს, რომ ის ინოვაცია, რაც ბოლო პერიოდის ტენდენციებით ქართულ კანონმდებლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო და უფრო იკიდებს ფეხს (იგულისხმება მედიაცია და ე.წ. „აღდგენითი მართლმსაჯულება“) ისტორიულ საფუძველს არ არის მოკლებული და სინამდვილეში, გარკვეული თვალსაზრისით, სხვა არაფერია, თუ არა – „კარგად დავიწყებული ძველი.“

მედიაციის არსი

თანამედროვე სასამართლოს საქმიანობაში, მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით, კანონის სწორად შეფარდებისა და აღსრულების კვალდაკვალ დიდი ადგილი უჭირავს მხარეთა მორიგებისა და ერთგვარი „მესამე ალტერნატივის,“ მოდავე მხარეთა შორის საერთო გზის გამოძებნის ფუნქციასაც, რომელიც მოსამართლის საქმიანობის ერთ-ერთ, ხოლო მედიატორის საქმიანობის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს.

„სამედიატორო სასამართლო“ მოდავე მხარეთა მიერ, მათი სურვილით, ერთი კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული სასამართლო შემადგენლობაა, რომლის წევრებსაც მხარეები ირჩევენ ცალ-ცალკე ან ერთად, ურთიერთშეთანხმებით, და რომლებიც შუამავლებად და მომრიგებლებად გვევლინებიან.

მედიაცია და მართლმსაჯულება ძველი ქართველისათვის მკაცრად არ იყო გამიჯნული. მართლმსაჯულების განხორციელება თავისთავად შეიცავდა მორიგების მიზანსაც, ხოლო მორიგების აქტი თავად იყო მართლმსაჯულების ერთ-ერთი გამოხატულება.

დღესაც სასამართლო უფლებამოსილია, რომ, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ესა თუ ის საქმე სწორედ მორიგებით დაასრულოს. ამიტომ, თანამედროვე თვალსაზრისით, მართლმსაჯულება, თავის თავში ასევე შეიცავს მორიგებას, თუმცა, მედიაციის ბუნების უკეთ შეცნობისათვის და იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, რა არსებითი განსხვავებაა დღევანდელ საჯარო მოხელეს – მოსამართლეს (იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე „სასამართლო მედიატორის“ ფუნქციას არ ასრულებს) და მედიატორს შორის, შესაძლებელია ასეთი შედარების მოყვანა:

თუკი წარმოვიდგენთ, რომ დაპირისპირებული მხარეები ორი სხვადასხვა, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების „მოქალაქეები“ არიან, მოსამართლე შეიძლება შევადაროთ მესამე ნეიტრალური ქვეყნის „მოქალაქეს“, ხოლო ბჭე-მედიატორი – სწორედ ამ დაპირისპირებული ქვეყნების „ორმაგ მოქალაქეს.“

მედიატორის ეს დუალისტური ფუნქცია კარგად ჩანს მოსამართლის აღმნიშვნელ ძველ ქართულ ტერმინებში, ვინაიდან ნებისმიერ სამართლებრივ ტერმინს აქვს არა მხოლოდ საკუთარი ისტორია, არამედ იგი თვითონაც ისტორიის უშუალო მოწმე და პირუთვნელი მთხრობელია.

სახელწოდება

ძველი ქართული სამართალი მოსამართლეს შემდეგი სიტყვებით აღნიშნავს:

„ბჭე“ „მსაჯული“, „მოსამართლე“, „მდივანბეგი“, სვანური „მორავი“, („მორევი“), თუ ხევსურული „რჯულის კაცი.“

„ბჭე“ – მოსამართლის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინია, რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში V საუკუნიდან გვხვდება. V-X საუკუნეებში იგი „მსაჯულის“, ხოლო X-XVIII საუკუნეებში – „მსაჯულის“ და „მოსამართლის“ პარალელურად გამოიყენება. არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ვინ არჩევდა საქმეს: მოდავეთა მიერ არჩეული პირი, თუ – სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დანიშნული.

აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნიდან „ბჭე“ საბოლოოდ დაუბრუნდა ჩვეულებით სამართალს და დამკვიდრდა იმ ადგილას, საიდანაც ოდესღაც წამოვიდა. სათემო ურთიერთობის წიაღში წარმოშობილი ტერმინის გამძლეობამ ფაქტის წინაშე დამდგარი სახელმწიფო ხელისუფლება აიძულა, რომ გვიანი პერიოდის საკანონმდებლო აქტებში შეტანით მხოლოდ „ბჭე“ ეცნო ჩვეულებითი სამართალით საქმის გამრჩევ პირთა სახელწოდებად. ამ დროიდან ქართლ-კახეთში „ბჭე“ მხოლოდ მედიატორს ეწოდება, იმერეთის სამეფოში კი – კვლავ ძველებურად მოსამართლის ზოგადი მნიშვნელობით იხმარება.

სიტყვა „მედიატორს“ XIX საუკუნის დამდეგამდე ქართული სინამდვილე არ იცნობს. ტერმინ „ბჭეს“ შეუსისხლხორცვბია უცხოური წარმოშობის „მედიატორი“ და ჩამოყალიბებულა – „ბჭე-მედიატორი.“

„მსაჯული“ – V საუკუნიდან ფიქსირდება და მსჯელობას, სჯულს, რჯულს, სჯასა, განსჯას უკავშირდება, ანუ გარკვეული გადაწყვეტილების მიღების პროცესს და სანქციის განსაზღვრას – მისჯას და დასჯას.

„მოსამართლე“ – X საუკუნის შემდგომ გვხვდება და თავისი შინაარსით „სამართლის მოქმედი“, „სამართალი“ კი ერთი მხრივ „მართს“, სწორს აღნიშნავს, ხოლო მეორე მხრივ – „მრთელს“, „მთლიანს“, სრულყოფილს (ამ იდეის საწინააღმდეგოა დანაშაულის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინები: „სამართალ-დარღვევა“, „კანონ-დარღვევა“, ე.ი. მთლიანი მდგომარეობის დაშლა-დანაწევრება და – „გარდასვლა“ და „გარდახდომა“ – ე.ი. „სწორი“ გზიდან ან გარკვეული ზღვრიდან გადასვლა-გადახვევა).

„მდივანბეგი“ – აღმოსავლური წარმოშობის ტერმინია, რომელიც გვიანფეოდალურ პერიოდში შემოდის.

„მორავი“ („მორევი“) – XIII საუკუნიდან დღემდე მოსამართლის სვანური სახელწოდებაა, რომელიც, შესაძლოა, ძველი დროის „მოურავიდან“, ან კიდევ, „ურვიდან“ („დაურვებიდან“) იღებდეს სათავეს: „გვიურვეს ფიცებულთა მოურავთა“ – ვკითხულობთ ერთ-ერთ ძველ სვანურ საბუთში.

„რჯულის კაცი“ – იგივე „მსაჯულის“ იდეის მატარებელია, ანუ სამართლის-მცოდნეს, „მერჩულე“-ს აღნიშნავს.

ქართული სამართლის ძეგლები იცნობს მედიატორის აღმნიშვნელ ისეთ ტერმინებსაც, როგორცაა **„შუაკაცი“**, **„საპატიო კაცი“**, **„შუათაღა დასხმულნი“**. ჩვეულებით სამართალში კი მიმოხილულია სხვადასხვა ტერმინი მოსამართლის, მედიატორის თუ სოფლის მიერ არჩეულ დარბაისელ პირთა აღსანიშნავად, რომლებიც სამოსამართლო უფლებამოსილებებით იყვნენ აღჭურვილი გარკვეული ვადით ან კონკრეტული საკითხის მოსაგვარებლად: ფშავში მათ **„მებრჭეებს“**, **„მერჯულეებს“**, **„თავკაცებს“**, **„ნაცად კაცებს“**, **„კითხულ კაცებს“** უწოდებდნენ; თუშეთში – **„საკითხ კაცთ“**; მესხეთში – **„წინაპირებს“**, **„მაშუალს“**, ხოლო აჭარაში – **„გამრიგოს“** და **„წინაი კაცებს“**; რაჭა-ლეჩხუმში, ხშირად, **„შუაკაცის“** ქვეშ სწორედ ბჭე-მედიატორს გულისხმობდნენ; გურიაში კი უფრო მეტად სიტყვა **„მედიატორი“** იყო გავრცელებული.

მოცემულ ტერმინთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **„ბჭე“**, რომელიც არა მხოლოდ მოსამართლესა და მედიატორს, არამედ **„კარებს“**, **„ზღურბლს“**, **„კარიბჭესაც“** ეწოდება.

მოსამართლის კარის სიმბოლიკასთან ასოცირება შემთხვევითი სულაც არ არის და იგი ცხადყოფს ძველ ქართველთა ცნობიერებაში არსებულ მეტად ორიგინალურ და საინტერესო კონცეფციას:

პირველი მიზეზი, რის გამოც მოსამართლე კარებთან ასოცირდება, უძველესი ტრადიცია გახლავთ, რომელიც დასტურდება ძველი სამყაროს ხალხთა ყოფიერებაში, იუდეასა და კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნებში. ესაა ქალაქის კარიბჭესთან სასამართლოს მოწყობის წესი. სწორედ აქედან მოდის **„სააჯო კარი“** – უმაღლესი სასამართლო ორგანოს სახელწოდება დავით აღმაშენებლის პერიოდში.

მეორე მიზეზი კიდევ უფრო არქაულია და კარის დუალისტურ სიმბოლიკას უკავშირდება. მის შესაცნობად საჭიროა შემდეგი კითხვების დასმა:

- რომელ სივრცეს განეკუთვნება კარი, როგორც შენობის ან ნაგებობის არქიტექტურული ელემენტი: შიდა სივრცეს თუ გარეთას? სხვაგვარად – მისგან მარჯვნივ მდებარე სივრცეს თუ მარცხნივ არსებულს?

- უპირატესად რომელი ფუნქცია აქვს კარს, როგორც შენობის ან ნაგებობის არქიტექტურულ ელემენტს – ჩაკეტვის თუ გაღების?

- რა ასოციაციური კავშირია კარის, როგორც შენობის ან ნაგებობის არქიტექტურული ელემენტის, ფუნქციებსა და მოსამართლის საქმიანობას შორის?

ცხადია, რომ კარი ორივე სივრცეს განეკუთვნება და ფუნქციაც ორმაგი აქვს: სივრცის დაკავშირების ფუნქციას თაღი ასრულებს, ხოლო გაყოფის ფუნქციას – კედელი. კარი კი ორივე ფუნქციის შემათავსებელია.

ტერმინ **„ბჭის“** ომონიმური მნიშვნელობა პირდაპირ მიუთითებს მისი შემქმნელის სამართლებრივ წარმოდგენებზე, კერძოდ: მოსამართლის, როგორც მომრიგებლის, შემაკავშირებლის ფუნქციაზე და სასამართლოს, როგორც მედიაციის განხორციელების ინსტრუმენტზე, რომელიც კარის მსგავსად ორი დამოუკიდებელი სივრცის მაკავშირებლისა

და გამყოფის დუალისტურ დატვირთვას ისე ითავსებს, რომ ცალ-ცალკე არცერთ სივრცეს განეკუთვნება, და ამავდროულად, ორივე სივრცის განუყოფელი ნაწილია.

სწორედ ამ მსოფლმხედველობის გამოვლინებაა „ხევსურული რჯულის“ წესი – როცა ორ სხვადასხვა სოფლის მცხოვრებს შორის არსებულ დავას აუცილებლად ამ სოფლების შუა მიჯნაზე, ე.წ. „სასწორში“ განიხილავდნენ.

იგივე პრინციპია ასახული ქართული ადათობრივი სამართლის, კერძოდ, სვანური სამედიატორო წარმოების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტში – „თანასწორობის“ ანუ „ტოლობის ფიცში“ („ტოლობ მაღვრა“), რომლის დროსაც შემრიგებელი მედიატორები როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს დამოუკიდებლად აძლევენ ფიცს, რომ თითოეული მათგანის ადგილზე დააყენებენ საკუთარ თავს და მიუკერძოებლად განსჯიან სამართალს ისე, თითქოს სწორედ მათ ადგილას იყვნენ.

აქ, ერთი შეხედვით, განუხორციელებელი პირობის მიცემა ხდება, ვინაიდან მომრიგებელი ასეთ ფიცს აძლევს არა ერთ, არამედ ორივე მხარეს, თანაც ეს მხარეები ერთმანეთთან დაპირისპირებაში იმყოფებიან. მაგრამ სწორედ აქ ჩანს, რომ „მორევი“ ერთდროულად „ეკუთვნის“ ორივე მხარეს, და ამავე დროს, ცალ-ცალკე – არც ერთ მათგანს. ეს მდგომარეობა იმით არის განსაკუთრებული, რომ მოსამართლე არათუ მესამე, „ცალკე მდგომ“, აბსოლუტურად დამოუკიდებელ კატეგორიაში მოიაზრებს თავს, არამედ კვლავაც ორივესთან მჭიდრო კავშირში, „ორივეს შორის“ რჩება, რაც კარგადაა ასახული სამედიატორო სამართალწარმოების სხვა ტერმინებშიც – „ნენსგაშ მეგნე“ („შუაში მდგომი“), „ნენსგამეზალ“ („შუამავალი“) და სხვ.

შესაძლებელია, ეს დამოკიდებულება თანამედროვე ადამიანისათვის, თვით პროფესიით იურისტისათვისაც კი, უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ძველ ქართველთა ცნობიერებაში სამართალი, უპირველეს ყოვლისა, აღიქმებოდა როგორც შუამავლობის პროცესი, ურთიერთობის ხერხი და არა, როგორც დღეს – ნორმათა შექმნისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი. სამართალი სხვა ძველი ხალხებისთვისაც ისტორიის საწყის ეტაპზე იყო არა იმდენად ბრალის განსაზღვრისათვის ან მსჯავრის დადებისათვის შემუშავებული წესების ერთობლიობა და პრინციპების მეშვეობით ადამიანთა დაყოფის საშუალება – არამედ სამართალი იყო ადამიანთა ერთად შეკავშირების საშუალება და შერიგების ინსტრუმენტი. იგი იმდენად ზემოდან თავსმოხვეული წესების ერთობლიობას კი არ წარმოადგენდა, რამდენადაც – საზოგადოების ერთგვარ „კოლექტიურ სინდისს.“ თავად ხალხი ქმნიდა სამართალს და სასამართლოს თავის კრებებზე. ამიტომ, უფლებისა და ბრალეულობის საკითხებზე მაღლა მოშუღლართა შერიგების საკითხი იდგა, რის გამოც, დაზარალებულის ცნობიერებაში წარმოქმნილ პირველ იმპულსს – შურისძიებას, სამაგიეროს მიზღვის სურვილს, საზოგადოების გავლენით უკან უნდა დაეხია კომპენსაციის ოდენობის შესახებ მოლაპარაკების წინაშე, რასაც მოსდევდა კიდევ შერიგება. სასამართლოს გადაწყვეტილება, ხშირად, მორიგების აქტი და დარღვეული მშვიდობის დიპლომატიის საშუალებით აღდგენის დეკლარირება იყო.

მედიაციისადმი ასეთი დამოკიდებულება ნათლად ჩანს ქართული სამართლის ძეგლებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში, რომელთა მოკლე განხილვასაც ქვემოთ შევუდგებით.

„სამედიატორო სასამართლო“ ქართული სამართლის ძეგლებში

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი იცნობს შუაეკაცთა სასამართლოს, რომელიც ადათობრივი სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობს. მედიატორებად ძველი წესების მცოდნე მსცოვან ადამიანებს ირჩევდნენ.

მაგალითად, სამართლის წიგნის მე-6 მუხლი მსუბუქი ჭრილობის საქმის შუაეკაცთა მეშვეობით მორიგებას ითვალისწინებს („საპატიოთა კაცთა შუა შემოსვლითა, შეტყვებით მოიყვანენ, დააურევბინონ, ვითარცა მართებდეს“); მე-13 მუხლი საუბრობს ოჯახის აკლებისა და შერცხვენისას „კაცთა შუა შემოსვლით“ შერიგებაზე, ხოლო 39-ე მუხლში კარგად ჩანს, რომ „სამედიატორო სასამართლოს“ ძირითადი მიზანი მხარეთა შორის „ზვავის“ ანუ მტრობის, ქიშპის მოშლაა („სჯობს ორთავე მოყვარენი კაცნი შემოასხნენ შუა და... ზვავი მოშალოს შუაეკაცმან“); ძეგლის 83-ე მუხლში ვკითხულობთ: „პატრონს ყმათა შუა თუ რა საბატონყმო სამღურავი და საცილობელი შემოვიდეს, მართლითა და უთნევართა შუათა ბრტობით მოეწყვენენ, მოეზავნენ,“ ე.ი. თუ სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ პირთა შორის იქნება „საბატონყმო სამღურავი და საცილობელი,“ მათი შერიგება, დაზავება შესაძლოა შუაეკაცთა მეშვეობით მოხდეს, რომლებიც სამართლიანი და „უთნევარი,“ ანუ პირუთვნელი ადამიანები უნდა იყვნენ; 92-ე მუხლიც შუაეკაცთა მეშვეობით („კაცთა დახედვითა“) ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს და ა.შ.

სამცხე-საათაბაგოს კანონმდებლობა მედიატორებს შედარებით მსუბუქი საქმეების გადაწყვეტას ანდობს, მაგრამ საფიქრებელია, რომ მხარეები სხვა შემთხვევებშიც ირჩევდნენ შუაეკაცებს. ეს ძეგლში არ აისახა, ვინაიდან ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, ფეოდალური ხანის სხვა ძეგლების მსგავსად, კაზუისტურია და მხოლოდ იმ შემთხვევებს ითვალისწინებს, რაც მოცემულ ეპოქაში ძეგლის მოქმედების არეალში იყო გავრცელებული. ამიტომ მასში გაუთვალისწინებელი სხვა სამოქალაქო დავები თუ არასამოქალაქო შინაარსის შედარებით მსუბუქი კატეგორიის საქმეებიც, შესაძლოა, მედიატორებს გაერჩიათ. ამას უნდა გულისხმობდეს კანონმდებელი, როდესაც შუაეკაცებსა და ბჭეებს (აქ „ბჭეში“ ხელისუფლების წარმომადგენელი მოსამართლე იგულისხმება) სამართალშემოქმედებით უფლებას ანიჭებს: ძეგლის მიხედვით, ცხოვრებაში „მრავალგვარნი საქმენი არიან“ და ასეთი საქმეების განხილვისას მოსამართლეებმა უნდა დაადგინონ საქმის ვითარება და თავიანთი შეხედულებით შესაბამისი სასჯელიც განსაზღვრონ.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიც მედიატორთა საქმიანობას შედარებით მსუბუქ საქმეებზე ითვალისწინებს, მაგალითად: 188-ე მუხლის მიხედვით, პირუტყვის მიერ მიყენებული ზიანის შესახებ შუაეკაცებმა უნდა იმსჯელონ და ანაზღაურებაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს. 190-ე მუხლით კი, „თუ სახმარი ნერგი მოუჭრას ან მოუკაფოს, შუასკაცთ გასინჯვით და დაფასებით როგორც თქუან და ღირდეს, ისრე პასუხი გასცეს,“ ე.ი. აქაც შუაეკაცები აფასებენ მიყენებულ ზარალს.

მართალია, მოსამართლეც და მედიატორიც ზოგადად „ბჭედ“ იწოდებოდა, მაგრამ მეტად საინტერესოა **ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის** 136-ე მუხლი, რომელშიც საგანგებოდაა აღნიშნული: „უკეთუ ორსა კაცსა საჩივარი ქონდეს მოსამართლესთანა და არც ხელმწიფისა, არც პატრიარქისა, არც მიტროპოლიტისა, არც მოსამართლის საჩივარი და სამართალი არ მოინდომონ, და იმ ორთა ერთი კაცი გამოირჩიონ, და იმასთან მივიდნენ, მოახსენონ, რომე ერთი საჩივარი გვაქვსო და რომელსაც თქუენ სამართალს გუიზამ, იმას ვჯერვართო, იმ მოსამართლეს ეწოდების ბჭე.“ ეს ძეგლი ეპისკოპოსმა კვიპრიანე სამთავნელმა თარგმნა (ერისკაცობაში კოზმა არაგვის ერისთავი), რომელმაც ზედმოწევით

იცოდა თავისი კუთხის ჩვეულებითი სამართალი. იგი ბერძნულ დედანში მოხსენებულ მედიატორს – „აირეტოს კრიტეს“ (სიტყვასიტყვით, „გამორჩეული მოსამართლე“) აზრობრივად თარგმნის „ბჭედ,“ მაშინ როდესაც, საჯარო მოხელე-მოსამართლეს (ბერძნ. „კრიტეს“) – „მოსამართლეს“ უწოდებს.

დავით ბატონიშვილის კანონპროექტი, „**სამართალი ბატონიშვილის დავითისა,**“ ტერმინ „ბჭეში“ მხარეთა მიერ არჩეულ მსაჯულსაც გულისხმობს და სახელმწიფო მოხელესაც. მე-9 მუხლის თანახმად, ყოველ წელიწადს საჭიროა ბჭის გამორჩევა მეფის ნებით, ან მოდავეთა მიერ. ბჭეთა (იგულისხმება ბჭე-მედიატორიც) გადაწყვეტილების შეუსრულებლობა მხარეთა პასუხისმგებლობას იწვევს. ამ მუხლში კანონმდებელი ძალზე ზოგადად ეხება „სამედიატორო სასამართლოს“ საკითხს და უბრალოდ აფიქსირებს მის არსებობას.

სამაგიეროდ, უფრო გვიანდელ შრომაში, „**საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა,**“ იგი „მედიატორს“ და „ბჭეს“ ერთმანეთისგან მიჯნავს: აქ „ბჭე“ სოფლის მიერ ერთი წლით არჩეული მუდმივმოქმედი მოსამართლეა (ორი ან სამი), რომელთაც მოურავი და მემამულე ამტკიცებს. ისინი საოჯახო ან უმნიშვნელო სამამულო დავებს განიხილავენ. „მედიატორებს“ კი სამოქალაქო ხასიათის საკითხთა გადასაჭრელად თვითონ მხარეები ირჩევენ: თავადაზნაურობას უფლება აქვს, აირჩიოს მედიატორები თავისი საქმეების განსახილველად, ხოლო ქალაქის მოსახლეობასა და ვაჭრებს შეუძლიათ ანგარიშსწორებისა და გაყოფის საქმეები მათ მიანდონ. მედიატორად არჩეულნი დებენ ფიცს, რომ პირუთვნელად გაარჩევენ საქმეს. შემდეგ იკრიბებიან სრული შემადგენლობით, იწვევენ მოდავეებს, განიხილავენ დოკუმენტებს, ანგარიშებსა თუ სხვა საბუთებს, დაჰკითხავენ მოწმეებს და გამოიტანენ საბოლოო განაჩენს, რომელსაც ამცნობენ მხარეებს და სისრულეში მოსაყვანად გადასცემენ მოურავს. „სამედიატორო სასამართლოს“ გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თუმცა, იქვე დავით ბატონიშვილი მიუთითებს, რომ, ყოფილა შემთხვევები, როდესაც მედიატორთა განაჩენით უკმაყოფილობისას ზოგჯერ საქმე გადაჰქონდათ სამეფო სასამართლოში და მეფე ნიშნავდა ნდობით აღჭურვილ ორ ან სამ პირს, რომლებიც ამ საქმეს მეფის სახელით არჩევდნენ.

„სამედიატორო სასამართლოს“ აღწერს XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილი ძეგლი „**საქართველოს ჩვეულებითი სჯული,**“ რომლის მე-60 მუხლში ნათქვამია, რომ რუსული მმართველობის დამყარებამდე მოდავეები ყოველგვარი ხელწერილის გარეშე, საკუთარი ინიციატივით, მეფის ბრძანებით, ან ადგილობრივი მოხელის მოწოდებით, ურთიერთთანხმობით ამოირჩევდნენ ორ, სამ ან ექვს ბჭეს, რომლებიც გადაწყვეტდნენ დავას და ორივე მხარეს მისცემდნენ განაჩენს. თუ რომელიმე მათგანი მეფესთან ან მოხელესთან იჩივლებდა, რომ მედიატორები მის მიმართ ტენდენციურები იყვნენ, გადაწყვეტილება გადაისინჯებოდა. ტყუილად ჩივილისთვის მხარეს დააჯარიმებდნენ, ხოლო თუ იგი მართალი აღმოჩნდებოდა, „სამედიატორო სასამართლოს“ გადაწყვეტილებას სათანადოდ შეცვლიდნენ. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ კი „სამედიატორო სასამართლოს“ ჩატარების პროცედურა სხვაგვარია: მედიატორთა არჩევა წარმოებს მხარეთა კეთილი ნებით, მმართველობის ჩარევის გარეშე. მოდავენი მედიატორებს აძლევენ „შეკრულების ხელწერილს“ (გადაწყვეტილებისადმი დამორჩილების პირობას), რომელსაც დაამოწმებინებენ ადგილობრივ ოფიციალურ სასამართლო უწყებას.

სამართლის წიგნებში არსებულ ნორმებს ზედმიწევნით იმეორებს საქართველოს არქივებში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებსა და საოჯახო კოლექციებში დაცული უამრავი სასამართლო ხასიათის დოკუმენტი, რომელთა ანალიზით იკვეთება, რომ „სამედიატორო

სასამართლოს“ განსჯადობას, ძირითადად, სამოქალაქო ხასიათის დავები – ოჯახის გაყრა, ქონების განაწილება და ვალდებულებათა შეუსრულებლობა ექვემდებარებოდა.

ამ დოკუმენტებში, როგორც წესი, აღნიშნულია, რომ მედიატორები სადავო საკითხის განსახილველად, თავისუფალი ნებით, თვითონ მხარეებმა აირჩიეს, რომლებიც დებენ ხელწერილს, რომ დასჯერდებიან მიღებულ გადაწყვეტილებას, უსიტყვოდ აღასრულებენ მას და არ გაასახივრებენ ოფიციალურ სასამართლო უწყებაში (ხშირად, თავად ეს „შეკრულობის ხელწერილი“ ოფიციალურ სასამართლო დაწესებულებაში დამოწმდებოდა კიდევ). მხარეები დასტურს იძლევიან ფიცით და ბეჭდით. ხელწერილის მიღების შემდეგ მედიატორები იწყებენ საქმის განხილვას: დაჰკითხავენ მხარეებს, ამოწმებენ სათანადო საბუთებს, ანგარიშებს, თამასუქებსა თუ სხვა წერილობით დოკუმენტებს, დაათვალიერებენ სადავო ადგილს, დაჰკითხავენ მოწმეებს, დააკისრებენ ფიცს რომელიმე მხარეს იმის გასარკვევად თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ქონება, თუკი სხვა საშუალებით ამის დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდება და, ყოველივე ამის შემდგომ, გამოიტანენ გადაწყვეტილებას (თუმცა, ისიც შესაძლოა, რომ შეთანხმებამდე ვერ მისულიყვნენ და გადაწყვეტილების მიუღებლად დაშლილიყვნენ). საბუთებში დეტალურად არის აღწერილი გადაწყვეტილების შინაარსი: თუ როგორ ხდებოდა ქონების დანაწილება, ვის რა ერგო და რატომ. საბუთის ბოლოს კი აუცილებლად გვხვდება მითითება, რომ მხარეებმა განიხილა „იყაბულეს“, ანუ მოიწონეს.

დოკუმენტებიდან დგინდება, რომ მედიატორთა არჩევა შეიძლება ასევე მომხდარიყო თანამდებობის პირის, მაგალითად, მეფის, კათალიკოსის ან დედოფლის თანხმობითაც. დასავლეთ საქართველოს საბუთებში კი ხშირად ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც მხარეები თანაბარი ოდენობით მედიატორებს აირჩევენ, ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, ირჩევენ უფროს მედიატორს. დოკუმენტებში არის გარკვეული მინიშნებაც, რომ უფრო ადრეულ პერიოდში „სამედიატორო სასამართლოს“ მკვლევლობის საქმის განხილვაც შეეძლო.

არასამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებიც მეტად ძვირფასია მედიაციის ისტორიის შესასწავლად. მაგალითად, XVII საუკუნეში „სამედიატორო სასამართლოს“ არსებობას დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ XIX-XX საუკუნის მიჯნის სამეგრელოს ეთნოგრაფიული სინამდვილე „სამედიატორო სასამართლოს“ უკვე დაკნინებული სახით იცნობს (გურია-იმერეთის მსგავსად იგი, ძირითადად, სამოქალაქო ან საოჯახო დავებს განიხილავს), – ცნობილი მოგზაურის დღიურებით ვიგებთ, რომ, თავის დროზე, იგი აქაც კლასიკური ფორმით ყოფილა გავრცელებული.

არქანჯელო ლამბერტი აღწერს, თუ როგორ აწარმოებდა მართლმსაჯულებას სამეგრელოს მთავარი და დასძენს, რომ, როცა რთული საქმეა, მაგრამ მთავრის შეწუხება არ სურთ, მოდავეები ასე იქცევიან: თითოეული ირჩევს თითო მოსამართლეს. ორივე მოსამართლე ირჩევს ერთ მომხსენებელს, რომლის მოვალეობაა არჩეულ მოსამართლეებთან ერთად დაჯდეს და ერთი მოდავის სიტყვები მეორეს გადასცეს.

დანიშნავენ დღეს და ადგილს, როდის და სად უნდა მოხდეს საქმის გარჩევა. ჩვეულებრივ, შეიკრიბებიან რომელიმე კარგი ჩრდილიანი ხის ქვეშ. დანიშნულ დროს ყველანი მივლენ ამორჩეულ ადგილზე. მოსამართლეები და საქმის მომხსენებელი დასხდებიან. ჯერ მომჩივანი გამოცხადდება, მუხლმოდრეკით მოახსენებს მათ თავის საჩივარს და წარუდგენს ყველა საბუთს. როცა სათქმელს დაასრულებს, ადგება და ისეთ ადგილას წავა, რომ ვერ გაიგოს, რასაც მოპასუხე იტყვის. მოსამართლეთა წინაშე გამოცხადდება და მუხლს მოიდრეკს მოპასუხე, რომელსაც საქმის მომხსენებელი სიტყვასიტყვით გადასცემს საჩივარს. მოპასუხე თავის შესაგებელს მოახსენებს მოსამართლეებს და წარუდგენს თავის

საბუთებს. დაასრულებს თუ არა თავის სიტყვას, იგი წავა. შემდეგ შემოვა მომჩივანი და ასე გაგრძელდება, ვიდრე ორივე მხარე არ დაასრულებს თავ-თავის სიტყვას. როცა მათ აღარ ექნებათ სათქმელი, მოსამართლენი ცალკე წავლენ საბჭოდ და გადაწყვეტენ საქმეს. განაჩენს ორივე მხარე ყაბუღდება.

ამ ცნობაში აღწერილი მთელი რიგი პრინციპები მთის რეგიონებში დღესაც ხელუხლებლადაა შემონახული:

- მხარეები თავიანთი ნება-სურვილით ირჩევენ თითო მოსამართლეს და შემდეგ ეს მოსამართლეები – ე.წ. მომხსენებელს, რომელიც მხარეებს ერთმანეთის ჩვენებას გადასცემს.

- საქმის გარჩევა ხდება სპეციალურად შერჩეულ ადგილას, სადმე ჩრდილიანი ხის ქვეშ და პროცესი შეჯიბრობითობის პრინციპის საფუძველზე მიმდინარეობს: მოსამართლეებს გადაწყვეტილება სწორედ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ჩვენებების, საბუთების საფუძველზე გამოაქვთ.

- მხარეები რიგრიგობით აძლევენ ჩვენებას მოსამართლეებს და პასუხს სცემენ ურთიერთბრალდებებს ისე, რომ ფიზიკურად არ ხვდებიან ერთმანეთს და არ ესმით ერთმანეთის საუბარი.

- ისინი მუხლმოდრეკით მოახსენებენ სასამართლოს. მსგავსი წესი დასტურდება ხევში აღ. ყაზბეგის „ელგუჯაში“ აღწერილი სცენით: „სვიმონ გავიდა შუა ადგლას, მოიხადა ქუდი, დაიჩოქა ცალ მუხლზე და დაიწყო თავისი საჩივარი... შემდეგ მოიწვიეს ელგუჯას ნათესავები... ისინიც, როგორც სვიმონ, ისე გავიდნენ შუა ადგილას და დაიჩოქნენ.“

- დაცულია სასამართლო თათბირის საიდუმლოება.

სამწუხაროდ, არქანჯელო ლამბერტი არ მიუთითებს, თუ რა ხასიათის საქმეებს განიხილავდა მის მიერ აღწერილი სასამართლო დაწესებულება, მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ ეს იყო რთული საქმეები.

„სამედიატორო სასამართლოს“ სიცოცხლისუნარიანობის მიზეზები

თუკი „სამედიატორო სასამართლო“ ძველ საქართველოში ისედაც საკმაოდ გავრცელებული ინსტიტუტი იყო, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ მისი მოქმედება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა, რასაც ხელს უწყობდა ოფიციალურ სასამართლო წარმოებაში მოსახლეობის უმრავლესობისათვის გაუგებარი **რუსული ენის დამკვიდრება**. ხოლო მეორე მიზეზი, რაც განსაკუთრებით ნათლად სვანეთ-ხევსურეთის მაგალითზე იკვეთება, ე.წ. **„გაუთქმელობის პრინციპი“** გახლდათ, რომლის თანახმად, სირცხვილად მიიჩნეოდა პირადი მტრის განსასჯელად გადაცემა საზოგადო მტრისთვის: როდესაც სვანეთში რუსული მმართველობის მიერ გაგზავნილი გამომძიებელი მომჩივან-მოპასუხესა და მოწმეებს დაიბარებდა, ყველანი ერთხმად დამნაშავის სასარგებლოდ აძლევდნენ ჩვენებას, რათა დამნაშავე რუსულ კანონს არ დაესაჯა და დაგა სვანური ადათით მოგვარებულიყო. იმავეს წერს ვაჟა-ფშაველა ხევსურეთის შესახებ: „თუ რომელიმე მხარე, მომჩივანი ან მოპასუხე არ დასთანხმდა მედიატორთა გადაწყვეტილებას და თიანეთში გაემგზავრა საჩივლელად, მთელი თემი და სოფელი დაუხვდება წინ და დააბრუნებს უკან: სირცხვილი არა იც, რად გვერი სხვის ხელადა.“

როგორც ჩანს, მსგავსი მსოფლმხედველობა არც საქართველოს სხვა რეგიონებისთვის ყოფილა უცხო: გორის მაზრაში 1906 წლის ერთ-ერთი სამედიატორო გადაწყვეტილებით მკვლელს დაეკისრა მოკლულის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, მისი მცირეწლოვანი შვილის რჩენა 17 წლის ასაკამდე და სრულწლოვნების მიღწევისას გარკვეული ოდენობის მიწის ფართის საკუთრებაში გადაცემა, ასევე, მოკლულის ქვრივის სასარგებლოდ კვირაში

ორი დღის განმავლობაში ფიზიკური შრომა. ხალხის შეფასებით: „რა ხეირია, ერთი დაობლებული ოჯახის ნაცვლად დაობლდეს ორი, ახლა კი მკვლელი ორ ოჯახზე მუშაობს“ – იგულისხმება, რომ „სამედიატორო სასამართლომ“ მკვლელი მოკლულის ოჯახს მზრუნველად მოუვლინა, მაშინ როდესაც, სახელმწიფო სასამართლო დამნაშავეს დასჯიდა და ორივე ოჯახი მარჩენალის გარეშე დარჩებოდა.

იმავეს ადასტურებს მთის რაჭაში XX საუკუნის 20-იანი წლებში დაფიქსირებული ერთი დაჭრის საქმე, როცა დაზარალებულმა, ხელისუფლების ოფიციალური ორგანოებისადმი მიმართვის ნაცვლად, ხალხური სამართლით მოითხოვა საზღაური: „რომ ვუჩივლო, დაიჭერენ, ციხეში შეიძლება მოკვდეს კიდევ, რის გამოც სოფელი დამნაშავედ ჩამოვლის. მისი ახლო ნათესავეები მტრად გადამეკიდებიან და მეც არაფერი მერგება, ამიტომ, მირჩენია შინაურულად მოვრიგდე.“

სწორედ ამ მიზეზეთა გამო არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ხალხური მედიაციის ინსტიტუტმა თვით საბჭოთა მმართველობის პირობებზეც გაუძლო. მისი მოქმედება სამოქალაქო საქმეებზე საქართველოს ყველა რეგიონში ფიქსირდება, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე – საქართველოს მთაში, განსაკუთრებით, სვანეთსა და ხევსურეთში, სადაც მხარეები მხოლოდ ჩვეულებითი სამართლით დადგენილი წესით აგვარებდნენ დავებს და საბჭოთა ორგანოებისათვის მიმართვას მაქსიმალურად ერიდებოდნენ. მკვლელობის, დაჭრა-დასახინჩრებისა თუ ქურდობისათვის ხელისუფლების მიერ დამნაშავის დაკავებისა და გასამართლების მიუხედავად, მხარეები ადგილობრივი წესით მაინც არჩევდნენ საქმეს და მხარეთა შერიგებაც ჩვეულებითი სამართლის ნორმებით ხდებოდა. სვანეთსა და ხევსურეთში, შეიძლება, დღესაც გაიმართოს „სამედიატორო სასამართლო“ ყველაზე მძიმე სასისხლო საქმეებზეც კი, თუმცა, ბოლო პერიოდში მთის რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციამ (ეს უფრო მეტად, ხევსურეთს და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს ეხება) ჩვეულებითი სამართლის მოქმედების ინტენსივობა საგრძნობლად შეამცირა. ამის მიუხედავად, „სამედიატორო სასამართლო“ როგორც ორგანიზაციული, ისე პროცესუალური თვალსაზრისით ამ კუთხეებში უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ბარში და იგი აქ უძველესი პლასტის სახით არის შემორჩენილი, რის გამოც ხალხური მედიაციის განხილვა ყველაზე სრულყოფილად სწორედ სვანური და ხევსურული მასალებით არის შესაძლებელი.

პრეცედენტული სამართალი

ისევე როგორც ძველი ქართული სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალიც სასამართლო პრეცედენტებით საზრდოობს. სვანეთსა და ხევსურეთში მას, შესაბამისად – „ჰარაკი“ და „ანდრეზი“ ეწოდებოდა. ისინი თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა და განსაკუთრებით კარგად იყო ცნობილი მედიატორთათვის, რომლებიც კონკრეტული საქმის განხილვისას მოიხმობდნენ ადათის მთავარ პრინციპებს და სხვადასხვა სოფელში მომხდარ შემთხვევებს, რომელიც მათ ძველთაგან სმენოდათ, ან მათ ახლობელს თუ თვითონ მიეღოთ მონაწილეობა მათ დადგენაში – „სამედიატორო სასამართლო“ ხომ ჩვეულებითი სამართლის ნორმათა ერთ-ერთი წარმომქმნელი ორგანო იყო: თუ იგი განსახილველი საკითხის გადასაწყვეტად შესაბამის ნორმას ვერ მონახავდა, ადათის საერთო სულის შესაბამის სრულიად ახალ გადაწყვეტილებას გამოიტანდა. სხვა სამედიატორო შემადგენლობის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მოწონება და განმეორება ახალ პრეცედენტულ ნორმას ქმნიდა, რომელიც ჩვეულებათა საერთო მასას უერთდებოდა.

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მედიატორები ნორმაშემოქმედებით საქმიანობაში აბსოლუტურად თავისუფლები იყვნენ. მაგალითად, ხევსურულ გადმოცემათა თანახმად, თუ ძველად „რჯულის კაცები“ განაჩენის დადგენისას სათანადო „ანდრეზს“ ვერ გაიხსენებდნენ, სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილების მიუღებლად დაიშლებოდა. შესაძლოა, ამის შემდეგ ვინმე გარეშე პირს გახსენებოდა კიდევ საჭირო „ანდრეზი.“ ასეთ შემთხვევაში „რჯულის“ თავიდან, ახალი შემადგენლობით მოწვევა დადგებოდა დღის წესრიგში. მაგრამ, თუ კაზუსი მართლაც ანალოგის არმქონე აღმოჩნდებოდა, საკითხს ე.წ. „მბჭე-ხევისბერთა“ ინსტიტუტი წვევდა. იგი, მიუხედავად სახელწოდებისა, არ ყოფილა მხარეთა შესარიგებლად დაკომპლექტებული ჩვეულებრივი „სამედიატორო სასამართლო.“ „მბჭე-ხევისბერი“ განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე პირები იყვნენ, რომლებიც იკრიბებოდნენ გუდანის ჯვარში და ცვლილებები შეჰქონდათ სრულიად ხევსურეთის „რჯულში“, აუქმებდნენ მოძველებულ წესებს, ადგენდნენ ახალ ნორმებს და უზრუნველყოფდნენ მთელს ხევსურეთში არსებული „ანდრეზების“ ერთგვარ სისტემატიზაცია-ჰარმონიზაციას. „ბჭობის“ შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შთამომავლობისათვის გადაცემას კი ე.წ. „ანდრეზის შემნახავ“ საგანგებო პირებს ავალებდნენ.

ფიცი

ფიცი ძველ საქართველოში უმთავრეს სასამართლო მტკიცებულებას წარმოადგენდა, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა სამართლის ძეგლშია მოხსენიებული და ჩვეულებით სამართალშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ფიცი თავისი აგებულებით პირობითი წინადადებაა (თუ... – მაშინ...), რომლის პირველი ნაწილი შეიცავს პირობას (ამა თუ იმ ფაქტის დეკლარირებას), ხოლო მეორე ნაწილი – სანქციას (დაკრულებას) ამ პირობის შეუსრულებლობისთვის.

ერთმანეთისგან განსხვავდება ფიცი, როგორც სასამართლო მტკიცებულება (თავის მართლების საშუალება) და პროცესუალური ფიცი.

- მტკიცებულებითი ფიცი ცნობილია ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის თითქმის ყველა კუთხეში, მაგრამ განსაკუთრებულად აქტიურად საქართველოს მთის რეგიონებში

(თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში) გამოიყენებოდა, სადაც ფიცის რწმენა უფრო დიდხანს შემორჩა.

ფიცით თავის მართლება ე.წ. „თანამოფიცართა“ ინსტიტუტსაც გულისხმობს. ეს შეიძლება ყოფილიყო თანამოფიცარი, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარე დაუსახელებდა ფიცის დამდებს (ე.წ. „შეგდებული“, „შესახელებული“) და მისი შეცვლა არ დაიშვებოდა (სვან. „უცაადა“) ან ისეთი თანამოფიცარი, რომელიც ფიცის დამდებს თავისი სურვილის მიხედვით შეეძლო მოეწვია მასთან ერთად თანადამფიცებლად (ე.წ. „შეუგდებელი“, „შეუსახელებელი“). ფიცის ნამდვილობისათვის საჭირო იყო თანამოფიცრებსაც ფიცით დაედანტურებინათ დამფიცებლის ფიცის ჭეშმარიტება და თუ ისინი ამაზე უარს იტყოდნენ, როგორც წესი, ბრალდებული გამტყუნდებოდა.

- რაც შეეხება პროცესუალურ ფიცს, იგი განსაკუთრებით მრავალფეროვანია სვანურ სამედიატორო სამართალწარმოებაში. ამჯერად, ხაზი უნდა გაეკვას „ტოლობის“ და „ერთგულების“ ფიცს, რომლებიც საფუძვლად უდევს ფიცის სხვა ვარიანტებს.

„ტოლობის ფიცი“ მედიაციის ინსტიტუტის ქვაკუთხედიანია. ბჭე-მედიატორები ორივე მხარეს შეჰფიცავენ, რომ თავიანთ ტოლად მიიჩნევენ მათ და ისე განსჯიან დავას, თითქოს თვითონ თითოეული მათგანის ადგილას იყვნენ.

„ერთგულების ფიცი“ კი მხარეთა ფიცია, რომლითაც ისინი თანხმობას აცხადებენ, ადასრულონ გადაწყვეტილება და უყოყმანოდ დაემორჩილონ მას. საინტერესოა დაზარალებულის პირობაც: „ფიცის ერთგული ვიქნებით მანამდე, ვიდრე ჩვენი ყურით არ გავიგონებთ დამნაშავე მხრიდან დაცინვას და აბუჩად აგდებას უსისხლოდ შერიგებაზე.“ ეს იმას ნიშნავს, რომ შურისძიების წმინდა მოვალეობაზე უარის თქმა და შერიგება ერთგვარად უხერხულობად აღიქმებოდა, ამიტომ დაზარალებული წინდაწინვე აფრთხილებდა დამნაშავეს, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მისი გრძნობების შეურაცხყოფას. ამასთან, საგანგებოდ უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ „საკუთარი ყურით“ გაგონილს დაუჯერებდა და არა ვინმეს ნათქვამს.

ბჭე-მედიატორთა დაფიცებას ძველი ქართული სამართალიც იცნობს და საქართველოს სხვა კუთხეების (ქართლი, რაჭა) ეთნოგრაფიული სინამდვილაც.

მედიაციის საფეხურები

ქართულ ჩვეულებით სამართალში მედიაცია „შერიგებად“, „მორიგებად“ შეიძლება ყოფილიყო მოსხენებული. გურიაში, მაგალითად, „ორი კაცით მოლაპარაკებაში მომყვიო“, იტყოდნენ. მედიაცია ორი სტადიისგან შედგებოდა, მაგრამ ისინი სრული სახით მხოლოდ მთაშია დაცული, ბარში კი ხშირად ძნელია მათ შორის მკვეთრი ზღვარის გაგლება.

- პირველი ეტაპს მედიაციაზე მხარეთა დათანხმება („დაყოლიება“) ანუ შუამავლობის პროცესი წარმოადგენს (სვან. „ლიმციქვ“ – მოციქულობა).

- მეორე ეტაპი – თვითონ სასამართლო პროცესია (სვან. „ლიმორავ“, ხევსურ. „რჯული“).

ეს უკანასკნელი, როგორც წესი, საქართველოს ყველა კუთხეში, ძირითადად, ერთგვაროვანი იყო:

პროცესის პირველ სტადიაზე სასამართლო შემადგენლობის განსჯადობას დაქვემდებარებული საქმის არსებითი განხილვა ხდებოდა. მედიატორები უპირველეს ყოვლისა დაჰკითხავდნენ მხარეებს: ჯერ მოსარჩელეს, შემდეგ – მოპასუხეს. სისხლის სამართლის საქმეებზე მხარეთა დაპირისპირება არ ხდებოდა. შემდეგ დაჰკითხავდნენ მოწმეებს (შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა მოწმეთა დაპირისპირებას). მამულზე დავისას, შეიძლება,

სადავო მიჯნებიც დაეთვალე რეზინათ, სამოქალაქო საქმეებზე კი – მხარეთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს გასცნობოდნენ.

საქმის არსებითი განხილვის დამთავრების შემდეგ, იწყებოდა **მეორე სტადია** – მედიატორთა მსჯელობა განაჩენის დასადგენად და განაჩენის გამოტანა. მოსამართლეთა თათბირი საიდუმლო იყო და გარეშე პირთა დაუსწრებლად მიმდინარეობდა. დადგენილი იყო აზრის გამოთქმის რიგითობა.

მესამე სტადიაზე აცხადებდნენ განაჩენს. გადაწყვეტილების გამოცხადების რამდენიმე ვარიანტი ფიქსირდება: იგი, შეიძლება, სასამართლო პროცესის ჩატარების ადგილას გამოეცხადებინათ მხარეთათვის (ცალ-ცალკე ან ორივესთვის ერთად). შესაძლოა, განაჩენი მისი გამოტანიდან გარკვეული დროის შემდეგ გამოეცხადებინათ მხარეთათვის მათივე ოჯახებში (ცალცალკე ან ერთად) შერიგების აღმნიშვნელი პურობისას (ე.წ. „სისხლის პურისჭამა“, როგორც რაჭაში უწოდებდნენ), უშუალოდ სუფრაზე და ა.შ.

მეოთხე და ბოლო სტადიას განაჩენის აღსრულება წარმოადგენდა, რაშიც მონაწილეობას, ძირითადად, თვით მედიატორებიც იღებდნენ. განაჩენის აღსრულების დადასტურების მიზნით შესაძლოა წერილობითი დოკუმენტიც შეედგინათ.

„სამედიატორო სასამართლოს“ განსჯადობა

XIX-XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, ჩვეულებით სამართალში „სამედიატორო სასამართლოსთან“ ერთად დავის განხილვის ფართო უფლებებით საზოგადოების ყრილობაც იყო აღჭურვილი, ამიტომ პირველ რიგში მათი კომპეტენციები უნდა გაიმიჯნოს:

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ყველა ის ქმედება მიეკუთვნება, რომელთაც თვით საზოგადოება ჩათვლიდა მისი ინტერესების ხელმყოფად და დამნაშავეს თვით საზოგადოება დააკისრებდა პასუხისმგებლობას, ხოლო კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების განხილვაში საზოგადოება არ ერეოდა. ეს ქმედებები მხოლოდ კერძო ინტერესების შემლახველად აღიქმებოდა და იწვევდა დაზარალებულის მხრიდან შურისძიებას ან მიყენებულ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

- **თემის ყრილობები** განიხილავდნენ საზოგადოების დალატს, საზოგადოების თავისუფლების ხელყოფას (ეს ძირითადად მთის რეგიონებს ეხება), საზოგადოების პირის გატყუებას, საერთო საქმისადმი თავის არიდებას, ქურდობას (ძირითადად, სისტემატურს), უზნეო საქციელს (უკანონო სქესობრივი კავშირი, მრუშობა, სიძვა, გაუპატიურება, ბუშის გაჩენა), საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, ეკლესიის გაძარცვას (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატის გაძარცვას), საზოგადოების (თემის, სოფლის) საერთო საკუთრების ხელყოფას, მის უკანონო ექსპლუატაციას (მოხვნა, ტყის მოჭრა), უკანონო ქორწინებას (ნათესავთა შორის ქორწინება, ნათელ-მრონობის გატყუება), საზოგადოებრივი წესრიგის ხშირ დარღვევას, უქმის გატყუებას და ა.შ.

- **„სამედიატორო სასამართლო“** განიხილავდა მკვლელობას, დაჭრა-დასახინრებას, ქურდობას, შეურაცხყოფას, ქონების დაზიანებას, ვალის დაუბრუნებლობას, საოჯახო სფეროში წარმოშობილ დავებს, განქორწინებას, ქონებრივ დავებს, ოჯახის გაყრისას ქონების გაყოფასთან დაკავშირებულ უთანხმოებებს და ა.შ.

„სამედიატორო სასამართლო“ მკვლელობის, დაჭრა-დასახინრებისა და სხვა მძიმე საქმეებს აღნიშნულ პერიოდში ძირითადად მთის რეგიონებში განიხილავდა. ბარის რეგიონებშიც არის ცალკეული მინიშნებები სასისხლო საქმეთა განხილვაზე, გამონაკლისის

სახით. ხოლო სამოქალაქო საქმეთა განხილვა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ყველგან ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

„სამედიატორო სასამართლო“ თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციაში ვერ ჩაერეოდა, მაგრამ თემის ყრილობას შეეძლო, „სამედიატორო სასამართლოს“ განსჯადობას მიუთუნებულ საქმე თავად განეხილა, თუ ჩათვლიდა, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა მთელი საზოგადოების ინტერესებს ხელყოფდა.

ხევისურული „რჯულის“ განსჯადობა

ხევისურეთის „სამედიატორო სასამართლოს“ განსჯადობა ზოგადად ემთხვევა მთელს საქართველოში გავრცელებულ პრინციპებს, მაგრამ ამავე დროს, თავისი ორიგინალურობის და ეთნოგრაფიულ მონაცემთა სიმრავლის გამო, შეიძლება მისი ცალკე განხილვაც.

„რჯული“ იმართებოდა:

I. „დრამის“ (სახლაურის) ოდენობის დასადგენად, როცა მხარეები თავად ვერ შეთანხმდებოდნენ – ასე ხდებოდა უმეტესად „ჭრა-ჭრილობის“ (დაჭრა-დასახიჩრების) საქმეზე. ამ დროს დაჭრილიც და დამჭრელიც სახეზეა. ხშირად ურთიერთდაჭრასაც აქვს ადგილი. დამნაშავეს დადგენა საჭირო არაა. მედიატორებმა თითოეული ჭრილობის სიმძიმის შესაბამისი საფასური უნდა განსაზღვრონ (მაგალითად, ჭრილობის სიგრძე ქერის მარცვლებით იზომებოდა).

II. დამნაშავეს ვინაობის დასადგენად – თუ დაზარალებულის მიერ დასახელებული ეჭვიანილი უარყოფდა სამართალდარღვევის ჩადენას და თვლიდა რომ მას „რჯული“ არ დაურღვევია, მედიატორებს უნდა დაედგინათ, იყო თუ არა იგი დაზარალებულის წინაშე პასუხისმგებელი. მაგალითად, იმავე „ჭრა-ჭრილობის“ საქმეზე, უნდა დაედგინათ ჯგუფურ ჩხუბში მონაწილეთაგან კონკრეტულად ვინ მიაყენა ჭრილობა (თუ ამას ყველა უარყოფდა), რადგან სწორედ უშუალო მიმყენებელს („მენაჭრევეს“) ეკისრებოდა „დრამა.“ ამ დროს ძირითად მტკიცებულებად ფიცს იყენებდნენ.

III. მიყენებულ ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად – მაგალითად, პირმა დაჭრა მეორე პირი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ გარდაიცვალა და დასადგენი იყო, მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა იგი, თუ სხვა მიზეზით.

IV. ქონების მესაკუთრის დასადგენად, – ე.ი. თუ მხარეთა შორის ადგილი ექნებოდა დავას ამა თუ იმ ქონებაზე (ნივთზე, მიწაზე, საქონელზე) საკუთრების უფლების შესახებ, ასევე, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს და ა.შ.

V. საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად – განქორწინების, დანიშნულთა დაცილების (თუ აკვანში დაინიშნენ) თუ ოჯახის გაყოფისას.

„რჯული“ მკვლელობის საქმეებზე

ცალკე უნდა გამოიყოს მკვლელობასთან დაკავშირებით „რჯულის“ ჩატარების საკითხი.

• თუ მკვლელის ვინაობა სადავო არ იყო, „რჯული“ არ ტარდებოდა, ვინაიდან მკვლელობისათვის დადგენილი გადასახადი ყველასათვის წინასწარ იყო ცნობილი და „დრამის“ ოდენობას დავა არ შეეძლო გამოეწვია, რადგან მნიშვნელობა არ ჰქონდა მკვლელობა განზრახ მოხდა თუ განზრახვის გარეშე („გიზმაობით“ თუ „იშობრივ“), გადასახადი მაინც ერთი იყო. ამიტომ მედიატორთა შეკრებას აზრი არ ჰქონდა და

„რჯული“ არ იმართებოდა. მკვლევლობის საქმეებს ხევისურეთში შუაგაციები აგვარებდნენ და არა „რჯულის კაცები“ (მედიატორ-მოსამართლეთა კოლეგია).

- მაგრამ ზოგიერთ მკვლევლობაზე „რჯული“ აუცილებლად ტარდებოდა:

I. როცა დამნაშავე უცნობი იყო და არსებობდა ეჭვი კონკრეტულ პიროვნებაზე, რომელიც ბრალდებას უარყოფდა, სწორედ „რჯულს“ უნდა გამოეყენებინა მკვლელი. მის ორგანიზებას შუაგაციები უზრუნველყოფდნენ, რადგან მკვლევლობაში ეჭვიც კი, რომელიც გაფანტული არაა, საკმარისი საფუძველი იყო მოკლულისა და ეჭვიმტანილის გვარებს შორის მტრობის ჩამოსაგდებად. ასეთ დროს ან ჭირისუფალი შეუთვლიდა ეჭვიმტანილს, რომ „ირჯულონ“ (რადგან ის ჰგონია მკვლელი), ან კიდევ ეჭვიმტანილი გაიგებდა, რომ მკვლევლობას აბრალდებდნენ და თავად შეუთვლიდა ჭირისუფალს, რომ „ირჯულონ“ (რადგან იგი ტყუილად სწამებს ცილს).

II. შესაძლოა, ჯგუფურ ჩხუბში გარდაცვლილიყო პიროვნება, რომლის სიკვდილსაც მონაწილენი ერთმანეთს აბრალდებდნენ. ასეთ დროსაც „რჯულს“ უნდა გამოეყენებინა სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლის ვინაობა.

III. გვარებს შორის არსებული შურისძიებათა ჯაჭვი, რომელიც ორივე მხრიდან რამდენიმე მკვლევლობას და დაჭრა-დასახინრებას შეიცავდა, ასევე საჭიროებდა „დრამის“ ოდენობის ზუსტად განსაზღვრას სწორედ „რჯულის“ მეშვეობით.

IV. „რჯული“ შეიძლება მაშინაც ჩატარებულიყო, თუკი გარდაცვლილი არავის მოუკლავს, მაგრამ მოპასუხეს გარკვეული კავშირი მაინც ჰქონდა მის სიკვდილთან. მაგალითად, თუ ერთი პიროვნება მეორეს თან წაიყვანდა ან სადმე გაგზავნიდა და ის გზაზე გარდაიცვლებოდა, „სამართლებრივი გარანტის“ როლში გამოდიოდა ის, ვინაც გარდაცვლილი გზად გაიყოლა ან რამეზე გააგზავნა.

მხარეთა შრთიერთმორიგება

მოდვე მხარეებს შეიძლება საერთოდ არ გაემართათ „სამედიატორო სასამართლო“ და სხვისი ჩარევის გარეშე მორიგებულებდნენ.

- სვანეთში ამას ე.წ. „ულუფხვილოდ“ შერიგება ერქვა: დამნაშავე „მახეშის“ (სოფლის მამასახლისი) პირით შეუთვლიდა დაზარალებულს, რომ სტუმრად მობრძანებულიყო სახლიკაცებითა და ნათესავებით. ეს მიწვევა ნიშანი იყო, რომ სახლიდან დაუსაჩუქრებელს არავის გაუშვებდნენ. ხევისურეთში ამ პროცესს „თაოპირად“ შერიგებას (ფშავში, „ბოლიშის მოხდით შერიგებას“) უწოდებდნენ: თუ თვითონ მხარეები შეთანხმდებოდნენ, რა საფასური უნდა გადაეხადა დამნაშავეს, მათ ე.წ. „საშუაგაცი“ (შუაგაცთა გასამრჯელო) არ დაეხარჯებოდათ. აჭარაშიც ფიქსირდება მსგავსი შემთხვევები და თანაც საკმაოდ ორიგინალური ფორმით: მაგალითად, მკვლელის მამამ კისერზე თოქჩაბმული შვილი მოკლულის ოჯახს მიუყვანა, სიტყვებით: „ძადლი მოგიყვანე, რაც გინდა ის უყავიო,“ რაზეც ჭირისუფალს უთქვამს: „რახან ასე გააკეთე, მიპატიებია სისხლიო“ და შერიგებულან.

- სვანურ მასალებში მედიატორთა გარეშე მორიგების კიდევ ერთი შემთხვევა ფიქსირდება. ე.წ. „ფიცით მორიგება“ – დაზარალებული უშუალოდ ეჭვიმტანილისგან მოითხოვდა ფიცით თავის მართლებას და, თუ ეს უკანასკნელი დაიფიცებდა, მხარეთა შორის კონფლიქტი სრულდებოდა. მაგალითად, ქურდობის შემთხვევაში, დაზარალებული მთელს სოფელში ჩამოატარებდა ხატს და ყველა ოჯახიდან თითო სრულწლოვან მამაკაცს დააფიცებდა, რომ არც თვითონ, არც მისი ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ და არც მათი ხელი ვერა ამ საქმეში. ფიცით მორიგება სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება შედარებით მარტივ საქმეებზე.

„სამედიატორო სასამართლოს“ გარეშე მორიგება

- „ხევესურული რჯული“ იცნობს შუაკაცთა („კაცშუაკაცთ“) შერიგებას – ეს ის შემთხვევაა, როცა შუაკაცები „რჯულის“ გამართვის გარეშე არიგებდნენ მხარეებს.

შუაკაცთა როლი განსაკუთრებით დიდი იყო მკვლელობის საქმეებზე (როგორც უკვე აღინიშნა, როცა მკვლელის ვინაობა სადავო არაა, „რჯული“ არ იმართება, რადგან სისხლის ფასი ისედაც ყველასთვის ცნობილია). სწორედ ისინი ხვდებოდნენ საკლავით მკვლელობის შემდეგ მკვლელის სახლ-კარის დასარბევად წამოსულ მოკლულის გვარს და ახერხებდნენ, მოკლულის ოჯახის ე.წ. „რიგის ყენებაზე“, „პირშესამყრელოსა“ და „თავის გათავებაზე“ დათანხმებას. ამ დროს „გარჯულვა“ არ ხდებოდა. ეს იყო მედიაციის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც შეიძლება რამდენიმე თვე და წელიც გაგრძელებულიყო და გულისხმობდა ყოველწლიურად, დათქმულ დღეს, მოკლულის ოჯახისათვის „მეხელის“ (მკვლელის) მიერ შუაკაცთა მეშვეობით საკლავის გაგზავნას. მოკლულის დაკრძალვამდე აგზავნიდნენ ე.წ. „მიწადში“ ანუ „მიწად შესვლის“ საკლავს, შუაკაცების ყოველ მისვლას საკლავის (ე.წ. „ასამტეხლო“) მიყვანა ახლდა (ე.ი. შუაკაცები „აუტეხავენ“ დაზარალებულ მხარეს, რომ შერიგებას დათანხმდეს). ამას ემატებოდა სხვადასხვა გადასახადი: მკვლელის ოჯახის წევრების, ბიძაშვილების შემორიგების, საგვარო, საძმო, სადელო, სამამო, სადო და ა.შ. თითოეული მათგანი საკლავს გულისხმობდა. სულ ბოლოს ხდებოდა „თავის გათავება“ – ძირითადად, მკვლელის გარდაცვალების შემდეგ (შესაძლოა, დანაშაულის აქტიდან რამდენიმე ათეული წლის გასვლის მერეც), რათა მათ შთამომავლებში აღარ გაგრძელებულიყო შურისძიება და მტრობა. შერიგების ნიშნად ბალახის განასკვეულ ღეროზე შუაკაცი და მხარეები სიმბოლურად ფეხს ადგამდნენ.

შუაკაცები თუ მოახერხებდნენ, სხვა საქმეებზედაც (როცა არ იყო გაურკვეველობა „დრამის“ ოდენობასთან დაკავშირებით, ან ბრალდებულის დამნაშავეობა არ იყო სადავო) „რჯულის“ გარეშე არიგებდნენ მხარეებს. ზოგჯერ დაჭრის საქმეზე შუაკაცები „რჯულის კაცებს“ არც შეყრიდნენ და ისე მიატანიდნენ „დრამას.“ შერიგების მიღწევის შემთხვევაში შუაკაცებს გასამრჯელოდ ეძლეოდათ თითო ძროხაზე ნახევარი ცხვარი საქონლის გამღებისგან, ხოლო ერთი ცხვარი – მიმღებისგან.

- ამ წესს ენათესავება სვანური ე.წ. „ლუფხვილების“ დახმარებით შერიგებაც, რომელიც ისეთ მსუბუქ საქმეებზე გამოიყენებოდა, რომელსაც შურისძიება არ მოჰყვებოდა. „ლუფხვილებს“ დაზარალებული დაასახელებდა, ხოლო საქმის განხილვაზე მათ დათანხმებას დამნაშავე უზრუნველყოფდა. ისინი შუაკაცები იყვნენ, რომლებიც მომრიგებელი მოსამართლეების მსგავს ფუნქციებს ასრულებდნენ. გარდა „ლუფხვილებით“ შერიგებისა, სვანური ჩვეულებითი სამართალი იცნობს შემთხვევებს (ძირითადად მსუბუქ საქმეებზე), როცა მხარეებს მხოლოდ შუაკაცები არიგებენ ყოველგვარი „სამედიატორო სასამართლოს“ გამართვის გარეშე.

ფშავშიც დასტურდება შუაკაცების მიერ დავის საბოლოოდ გადაწყვეტა ისე, რომ სასამართლო არ იმართებოდა და ისინი ოჯახებში მისვლა-მოსვლით ამოწურავდნენ ყველა გაუგებრობას.

შუაკაცთა მეშვეობით მორიგება საქართველოს სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება. მეტიც, ზოგან „სამედიატორო სასამართლო“ და შუამავლობის პროცესი დამოუკიდებელ სტადიებს არც კი წარმოადგენდა და მოსამართლე-მედიატორსა და შუაკაცს შორის ფუნქციები მკაცრად გამიჯნული არც იყო. თუმცა, ვინაიდან მთის მასალები ყველაზე არქაულ პლასტს შეიცავს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველი ქართული სამართალი სამედიატორო

პროცესამდე სწორედ შუამავლობას მიმართავდა და, თუ ამ ეტაპზე მიიღწეოდა მედიაციის მიზანი (მხარეთა შერიგება), მაშინ სასამართლო აღარც იყო საჭირო. მეორე შემთხვევაში კი – თუკი შუაგაცები მხარეებს ვერ შეარიგებდნენ, მაგრამ „სამედიატორო სასამართლოს“ გამართვაზე დაითანხმებდნენ, ეს ხომ მაინც კონსენსუსისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი და მედიაციის პირველი წარმატება იყო.

მხარეთა თანხმობა „სამედიატორო სასამართლოს“ გამართვაზე

თუკი მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ ერთი მხარის მიმართვის შემთხვევაშიც განიხილოს დავა, მედიატორთა კოლეგია მხოლოდ ორივე მხარის თანხვედრი ნების არსებობისას არჩევს საქმეს, რომელიც, ადათის თანახმად, მის განსჯადობას განეკუთვნება. სწორედ ამიტომ პირველი ეტაპი, რითაც ზოგადად იწყებოდა „სამედიატორო სამართალწარმოება,“ ამ უკანასკნელზე მხარეთა თანხმობის მიღწევა გახლდათ.

სვანურ მასალებში სამი შემთხვევა გვხვდება:

- მცირე მნიშვნელობის საქმეებზე (მაგ.: ოჯახის გაყრა, ქონების გაყოფა), შესაძლოა, მხარეებს ერთობლივად გამოეველინათ ინიციატივა, რომ მათი დავა მედიატორების დახმარებით მოგვარებულიყო. ანალოგიური წესი გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

- იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე იმდენად რთული და მძიმე იყო, რომ მხარეთა შერიგებას პირი არ უჩანდა, ხოლო შურისძიებასა და მსხვერპლს – ბოლო, შეწუხებული თემი „მახვშის“ თაოსნობით შეიკრიბებოდა და დაადგენდა: თუ მხარეები არ შერიგდებოდნენ, მათ მიმართ განსაკუთრებული ღონისძიებები იქნებოდა გამოყენებული. ანალოგიური პრინციპი საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოქმედებდა, მაგალითად, ქართლ-კახეთში შემონახული წესით, თუ ოჯახის წევრები გაყოფის წინ მედიატორებზე ვერ შეთანხმდებოდნენ, მაშინ მათ სახალხო ყრილობა დანიშნავდა. აჭარაში კი ასეთ დროს საქმეში ჩაეროდა ბეგი, რომელიც საქმის გარჩევას ნეიტრალურ პირს დაავალებდა.

- ყველაზე ტიპურ შემთხვევას წარმოადგენდა შუაგაცების (ე.წ. „მეცქულარ“) მეშვეობით მხარეთა დათანხმება შერიგებაზე. მოციქულები ავტორიტეტული და პიროვნული თვისებებით გამორჩეული ხალხი იყო, რომლებიც განსაკუთრებული სიფრთხილით და შესაშური დიპლომატიით უდგებოდნენ თავიანთ წმინდა მოვალეობას. ერთმანეთის პოზიციას შერბილებულად გადასცემდნენ მხარეებს და ყოველნაირად ცდილობდნენ დაპირისპირებულთა შერიგებაზე დათანხმებას. საქმე ის არის, რომ შურისძიების მოვალეობაზე უარის თქმა და სისხლის აუღებლობა სვანეთში მთელი გვარის შეურაცხყოფად ივლებოდა. სანამ სირცხვილს არ ჩამორეცხდნენ, მანამდე ვინმესთან ხმამაღლა დალაპარაკებისაც ვერ იტოვებდნენ, რათა მას არ წამოეყვედრებინა: „შე სისხლის აუღებლის შვილო.“ სისხლის ადების შემდეგ კი მთელი სანათესავო ერთად იკრიბებოდა და ზეიმობდა. ამიტომ პირველ ხანებში განსაკუთრებით ძნელი იყო ჭირისუფალთან შერიგებაზე საუბარი. შუამავლები ჯერ სალაპარაკოდ მიღებაზე ითანხმებდნენ დაზარალებულს, შემდეგ კი, არაერთი ვიზიტის შედეგად, თანდათანობით მორიგებისადმი დადებითად განაწყოდნენ.

გამორჩეულად დიდი იყო შუამავლების როლი ხევსურეთში. ისინი უზრუნველყოფდნენ არა მხოლოდ „რჯულის“ ჩატარებაზე მხარეთა დათანხმებას, არამედ, როგორც უკვე ითქვა, მათ „რჯულის“ გარეშეც შეეძლოთ მოშუღლართა შერიგება. „კაცშუაგაცნი“ ყოველნაირად ცდილობდნენ მხარეთა შერიგებაზე დათანხმებას, რაც ნიშნავდა დაზარალებულის მხრიდან შურისძიებაზე უარის თქმას, მოპასუხის მხრიდან კი – დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მზაობას. „რჯულის“ თანახმად, თუ ურთიერთდაჭრას ჰქონდა ადგილი,

ორივე მხარე აგზავნიდა შუაკაცებს, ხოლო თუ მხოლოდ ერთ მხარეს იყო ზიანი – დამჭრელი. დაზარალებულს შეეძლო, არ მიეღო შუაკაცები და უარი ეთქვა შერიგებაზე, ამიტომ შუაკაცებს ხშირად არაერთი ვიზიტი სჭირებოდათ მოქიშპეთა გულის მოსალობად.

მეტად საინტერესოა ფშავში დაცული ცნობებიც, რომლის თანახმად, ხშირად მკვლელის ოჯახი შუაკაცად ისეთი ოჯახის წევრებს გზავნიდა, რომლებმაც ადრე თავად აპატიეს სხვებს მათი ოჯახის წევრის მკვლელობა.

საყურადღებოა, რომ „სამედიატორო სასამართლოს“ გამართვაზე მხარეთა თანხმობა საქართველოს ბევრ კუთხეში ზოგჯერ წერილობითაც ფორმდებოდა.

მედიატორთა არჩევის წესი

სვანეთში გარიგებაზე დათანხმების შემდეგ მხარეები კონკრეტულად შეარჩევდნენ სასურველ მოსამართლეებს. თავდაპირველად მათ დაზარალებული დაასახელებდა (მკვლელობის საქმეზე – ჭირისუფალი) და მოციქულები მოპასუხეს შეუთანხმებდნენ მის ვინაობას. ამ უკანასკნელის მიერ დასახელებულ კანდიდატებს კი დაზარალებულის ოჯახს მოახსენებდნენ. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ, სასამართლოს დაკომპლექტება შეიძლება მოციქულებისთვის მიენდოთ. ზოგჯერ მოციქულებს დააფიცებდნენ კიდევ, რომ ეს უკანასკნელი მიუკერძოებელ, ნეიტრალურ და საქმის მცოდნე პირებს შეარჩევდნენ.

შეიძლება, მედიატორად თვითონ შუამავალიც აერჩიათ, თუმცა, ხშირად, მოციქულები მხარეთა მორიგებაზე დაყოლიების შემდეგ პროცესს ეთიშებოდნენ. ხევსურეთშიც დასტურდება „კაცშუაკაცის“ „რჯულის კაცად“ ტრანსფორმირების წესი. მხარეებს შეეძლოთ როგორც ყველა შუაკაცის, ისე მათი ნაწილის არჩევა სასამართლო კოლეგიის წევრებად.

საინტერესოა, რომ ხევსურეთში ძველად „რჯულის კაცის“ მხარეთა მიერ არჩევა გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა და ერთგვარ სირცხვილადაც მიიხნეოდა („მხდალნი არიანო, იტყვის ხალხი“), რადგან მამაკაცს შურისძიებაზე უარი არ უნდა ეთქვა და მორიგებისთვის თავისი ინიციატივით არ უნდა მიემართა. ამ მიზეზის გამო, მოდავეები ძირითადად, შუაკაცებს ანდობდნენ ხოლმე მოსამართლეთა არჩევის საკითხს. თანაც, შუაკაცები უკეთ იცნობდნენ იმ პირებს, რომელთაც „რჯულის კაცობა“ ხელეწიფებოდათ. მოგვიანებით კი მოსამართლეთა საკუთარი ინიციატივით არჩევა სირცხვილად აღარ მიიხნეოდა და მხარეები ან თვითონ ირჩევდნენ „რჯულის კაცებს“, ან კვლავ უწინდებურად შუამავლებს გადააბარებდნენ ამ მოვალეობას. ეს კი, სვანეთის მსგავსად, მაშინ ხდებოდა, როცა ესა თუ ის მხარე მოწინააღმდეგის მიერ არჩეულ მოსამართლეებს აცილებას მისცემდა. ცხადია, შუაკაცების მიერ არჩეული კანდიდატისთვისაც შეეძლოთ აცილების მიცემა, მაგრამ ძირითადად მხარეები ამ არჩევანს ეთანხმებოდნენ ხოლმე.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ არც სვანეთში და არც ხევსურეთში შუამავლებს არ შეეძლოთ მედიატორთა საკუთარი ინიციატივით დასახელება. მათ მხოლოდ მხარეთაგან დელეგირებული უფლება გააჩნდათ ამ საკითხზე.

მედიატორის აცილება და თვითაცილება

როგორც წესი, მედიატორი არ შეიძლებოდა, რომელიმე მხარის მტერი ან მოკეთე ყოფილიყო.

ხევსურეთში პირდაპირ იკრძალებოდა „რჯულის კაცად“ მოდავე მხარის „მამიშვილობის“ წევრის მოწვევა. იგივე წესი ფიქსირდება ხევსა და საქართველოს ყველა იმ კუთხეში, სადაც „სამედიატორო სასამართლო“ რთულ საქმეებზე იღებს გადაწყვეტილებას.

ცხადია, ასეთი შეზღუდვა ზოგიერთ სამოქალაქო დავაზე არათუ არ ვრცელდებოდა, არამედ პირიქით – ოჯახის გაყრისას, მაგალითად, ქონების გამყოფებად, ძირითადად, სწორედ ნათესავეებს, მეზობლებსა და მოკეთებებს იწვევდნენ.

სვანეთში მიღებული წესით, თუ ერთი მხარის მიერ შერჩეული კანდიდატი მეორე მხარისთვის მიუღებელი პერსონა აღმოჩნდებოდა, იგი მას აცილებას მისცემდა. აცილებულის ნაცვლად სხვა ვინმე უნდა დაესახელებინათ და მოციქულები მის კანდიდატურასაც შეუთანხმებდნენ უკმაყოფილო მხარეს. ასე გრძელდებოდა სასამართლო შემადგენლობის სრულ დაკომპლექტებამდე. აცილების უფლება დაფიქსირებულია იმერეთშიც, სამოქალაქო და საოჯახო ტიპის დავებზე. ხევში კი, როგორც ამას ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებიდან და ეთნოგრაფიული მასალებიდან ვიგებთ, მედიატორი თვითაცილებასაც მიმართავდა ხოლმე.

მედიატორის თვისებები

ბარის რეგიონებში სამოქალაქო დავებზე (მიჯნაზე ცილობა, პირუტყვის მიერ ნათესების დაზიანება, ოჯახის გაყრა და ქონების გაყოფა), შესაძლოა, მედიატორად მეზობლები, ნათესავეები და ახლობლები მოეწვიათ. მაგალითად, აჭარაში ოჯახის გაყრისას დედის ძმებს იწვევდნენ ხოლმე. ბუნებრივია, ასეთ დროს მედიატორის თვისებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ არა ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც – მთაში, სადაც მას არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ – უძძიმესი სისხლის სამართლის საქმეებიც უნდა განეხილა.

ამიტომ საქართველოს მთაში მოსამართლის პიროვნულ თვისებებს განსაკუთრებული სიფრთხილით ამოწმებდნენ. სვანეთში, მაგალითად, შეიძლება, მთელს სოფელში ერთი მორევიც არ აღმოჩენილიყო. მართალია, თეორიულად, მედიატორობის უფლება ყველა სრულწლოვან მამაკაცს ჰქონდა, მაგრამ სინამდვილეში მოსამართლედ მხოლოდ სათანადო თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანს ირჩევდნენ. მორევი ავტორიტეტულ, სანდო, სამართლიან და პატიოსან კაცად იყო ცნობილი. იგი ჭკვიანი, მცოდნე, დაკვირვებული, მორწმუნე და ღვთისმომშიში პიროვნება უნდა ყოფილიყო, რაც მიუკერძოებელი და ობიექტური განაჩენის გამოტანის წინაპირობად მიიჩნეოდა. მათ ხალხი ისეთი მოწიწებით უყურებდა, როგორც საღმრთო პირებს: „მორევეები ღვთისგან გაჩენილნი არიანო.“ სვანები თვლიდნენ, რომ სამართლიანობა ყველა ადამიანისათვის სულაც არ იყო დამახასიათებელი და იგი ღვთისგან ბოძებულ განსაკუთრებულ ნიჭს წარმოადგენდა.

ანალოგიური დამოკიდებულება იყო მედიატორთა მიმართ ხევსურეთშიც, სადაც, ხალხის დაკვირვებით, „რჯულის კაცად“ მხოლოდ ის შეიძლებოდა გამხდარიყო, ვისაც ბავშვობიდანვე ამის ნიჭი აღმოაჩნდებოდა და ყურადღებით იმახსოვრებდა უხუცესთა საუბარს. თუკი მას მჭევრმეტყველებისა და დიპლომატიის უნარსაც შეამჩნევდნენ, ასეთ ახალგაზრდას მოხუცები „რჯულშიც“ დაისწრებდნენ ხოლმე თავდაპირველად მარტივი საქმეების „გარჯულებისას“, შემდეგ კი – რთულ და მძიმე შემთხვევებზეც. ასე თანდათანობით ყალიბდებოდა მომავალი „რჯულის კაცი.“

იმავე თვისებების მატარებლები უნდა ყოფილიყვნენ „თემის კაცები“ ხევში, რაც არა მხოლოდ ეთნოგრაფიულ მასალებში, არამედ ალ. ყაზბეგის „ელგუჯაში“ თითქმის დოკუმენტური სიზუსტით გადმოცემულ სამედიატორო პროცესშიც ნათლად ჩანს: „შეყრილიყვნენ თემის კაცები, რომელთაც სისხლის სამართალი უნდა გადაეწყვიტათ... ყველანი ჯოხებით, თმაწვერგათეთრებულნი, ისხდნენ სკამზედ და დამწვიდებულ-დარბაისლურად სჯიდნენ ამ სამწუხარო შემთხვევას. ერთი, ყველაზე უფროსი, ასრულებდა

თავმჯდომარის მოვალეობას და დანარჩენები ისეთის კრძალვითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ მას, რომ კაცი გაშტერებული დარჩებოდა.“

მედიატორის თანხმობა

მთავარი სირთულე, რომელიც სვანეთში მოდავეებს კანდიდატთა შერჩევის შემდეგ უნდა გადაეღებინათ, შერჩეული პირების მედიატორობაზე დათანხმება იყო. მორევობას ყველა სვანი მაქსიმალურად ერიდებოდა, რადგან თვლიდნენ, რომ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანისგან, თუნდაც უნებურად, არავინ იყო დაზღვეული და ვაი, თუ მათი სამართალი ღვთის წინაშე სულაც არ იყო ობიექტური. ამიტომ, თუ ვინმე წინასწარ შეიტყობდა, რომ მისი მორევად არჩევა სურდათ, იგი ყველანაირად ცდილობდა მხარეებს თუ მოციქულებს მორიდებოდა და მოსამართლეობის მძიმე ტვირთისგან როგორმე თავი დაეღწია.

ამ დაბრკოლების გადასაღებად სვანები ერთ ხერხს იყენებდნენ: ეკლესიიდან გამოიტანდნენ რაიმე საკრალურ ნივთს (ხშირად, საყდრის კლიტეს), შევიდოდნენ იმ სახლში, სადაც მორევად ასარჩევი პირი ეგულვებოდათ და ცდილობდნენ, როგორმე ხელი მოეკიდებინათ ამ ნივთისათვის, რის შემდეგაც მედიატორობაზე უარის თქმა უკვე შეუძლებელი იყო, რადგან ამას, სვანების აზრით, ღვთის რისხვა მოჰყვებოდა.

ხევსურეთში, „რჯულის კაცები“ მათი არჩევის შესახებ რომ შეიტყობდნენ, უმეტეს შემთხვევაში, უარს არ ამბობდნენ ამ წმინდა მოვალეობაზე, ვინაიდან დაპირისპირებული მხარეების მორიგება სამართლიან და კეთილშობილურ საქმედ მიიჩნეოდა. ცხადია, ავადმყოფობას ან სხვა ობიექტურ მიზეზს შეეძლო მათი უარიც გამოეწვია. ანალოგიური დამოკიდებულება ფიქსირდება ხევშიც, სადაც „თემის კაცები“ როგორც წესი, შუამავლობასა და სამედიატორო საქმისწარმოებაში მონაწილეობის მიღებაზე შედარებით იოლად თანხმდებოდნენ.

მედიატორთა რაოდენობა და თანაფარდობა

სვანური სამედიატორო სასამართლო მინიმუმ 2 (თითო კაცი ორივე მხრიდან) და მაქსიმუმ – 24 კაცისგან შედგებოდა.

მორევთა რაოდენობა პირდაპირ-პროპორციულად იყო დამოკიდებული განსახილველი საქმის სირთულეზე, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა ერთი და იმავე კატეგორიის საქმეზე სხვადასხვა რაოდენობის მორევები აურჩევიათ. მკვლევლობის საქმეზე, როგორც წესი, 12 მორევი იკრიბებოდა, მაგრამ შესაძლოა მათი ოდენობა ნაკლებიც ყოფილიყო. მედიატორთა მაქსიმალურ რაოდენობა განსაკუთრებით გახმაურებული შურისძიების საქმეებზე იკრიბებოდა, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. აზნაურის (ე.წ. „ვარგის“) მკვლევლობასაც 24 მორევი განიხილავენ.

არჩევის ორი წესი ფიქსირდება:

- თანაბარი ოდენობით არჩევა – უძველესი და მთელს საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული პრინციპი. იგი გვხვდება თუშეთში, ფშავში, რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლ-კახეთსა და აჭარაში.

- არათანაბარი ოდენობით არჩევა – შედარებით გვიანდელი პრინციპი, რომელიც თავის მხრივ ორ შემთხვევას მოიცავს:

I. უპირატესობა დაზარალებულის მხარესაა – დაზარალებული მხარე (მაგ.: მკვლევლობის დროს, მოკლულის ოჯახი) ირჩევს უფრო მეტი რაოდენობის მორევს, ვიდრე დამნაშავე.

II. მთლიანად დაზარალებული მხარე ასახელებს ყველა მორევს, ხოლო დამნაშავე „მოიძიებს“ მათ – ეს წესი ყველაზე უფრო გვიანდელია (კალის საზოგადოებაში შემოიღეს XX საუკუნეში).

თუკი შუღლის დროს საპასუხო მკვლევლობასაც ჰქონდა ადგილი, მხარეები, ასე ვთქვათ, „თანაბარ“ მდგომარეობაში იყვნენ, რაც შერიგებას აიოლებდა. ხოლო როცა მარტო ერთი მხარე გამოდიოდა დაზარალებულის როლში, დამნაშავე დათმობაზე მიდიოდა, რათა დაზარალებულს უფრო იოლად ეთქვა უარი შურისძიებაზე. „დათმობა“ პირობითია, ვინაიდან განაჩენი რთულ საქმეებზე ერთხმად მიიღებოდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა მორევთა თანაფარდობას. მაშინაც კი, როცა კოლეგიას მთლიანად დაზარალებული ასახელებდა, მორევთა პირუთენელობაში ეჭვს ვერავენ შეიტანდა. გამორიცხულია, სვანურ ჩვეულებით სამართალში წარმოშობილიყო წესი, რომელიც ვინმეს განაჩენის ობიექტურობაში დაეჭვების საბაბს მისცემდა: თუ დამნაშავე დაინახავდა, რომ, დაზარალებულის მიერ მეტი მორევის დასახელება განაჩენის ობიექტურობას საფრთეს უქმნიდა, ცხადია, ის „სამედიატორო სასამართლოს“ არჩევას არ დათანხმდებოდა, მაგრამ ვინაიდან ასეთი რამ არ ხდებოდა, სწორედ ამიტომ ფიქსირდება დაზარალებულის მიერ მეტი მორევის არჩევის ფაქტები. „სამედიატორო სასამართლოს“ ფუნქცია სვანეთში უადრესად მნიშვნელოვანი იყო და არავინ დაუშვებდა ამ მექანიზმის მოშლას. პირიქით, ეს წესი გარკვეულწილად დაზარალებულის გულს ამშვიდებდა და მის მოტივაციაში არსებულ მორიგების სურვილს განამტკიცებდა.

ხევისურეთში შესაძლოა, „რჯული“ ერთ კაცსაც გაემართა (ქართლშიც ფიქსირდება ასეთი რამ), მაგრამ ხევისურთა უმეტესი ნაწილის შეხედულებით, ამ შემთხვევაში იგი უფრო შუაკაცია, ვიდრე „რჯულის კაცი“, რადგან „გარჯულებისთვის“ (ე.ი. მსჯელობისთვის, ბჭობისთვის) ორი კაცი მაინც იყო საჭირო. საქმის სიმძიმიდან გამომდინარე, „რჯულის კაცები“ შეიძლება 3-დან 6-მდე (მცირე საქმეზე) ან 10-დან 15-მდეც (რთულ შემთხვევებზე) მოეწვიათ.

„რჯულის კაცებს“, როგორც წესი, მხარეები თანაბარი რაოდენობით ასახელებდნენ, თუმცა არც არათანაბარი ოდენობით დასახელება იყო უცხო. ვინ რამდენს დაასახელებდა, ეს შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული. პრივილეგიას აქაც დაზარალებულს ანიჭებდნენ ხოლმე. თუმცა, ხშირად დაზარალებული ამ პრივილეგიაზე უარს აცხადებდა, რათა განაჩენის ობიექტურობაში ეჭვი არავის შეეტანა.

„რჯულის კაცთა“ რაოდენობა შეიძლება ლუწიც ყოფილიყო და კენტიც, თუმცა ეს უკანასკნელი ყოველთვის არ ნიშნავდა იმას, რომ რომელიმე მხარემ მეტი მოსამართლე დაასახელა – როცა „რჯულის კაცებს“ შუამავლები ირჩევდნენ, მათი ოდენობა შეიძლება კენტიც ყოფილიყო ისე, რომ ისინი მხარეების მიერ არ ყოფილიყვნენ დასახელებული. მაგრამ ამას არც ხევისურეთში ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან განაჩენის გამოტანა აუცილებლად ერთსულოვნად უნდა მომხდარიყო (წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილების მიუღებლად დაიშლებოდა). ამას გარდა, „რჯულის კაცთა“ პიროვნული თვისებები მათი მიუკერძოებლობის უმთავრეს გარანტიას წარმოადგენდა.

მედიატოროთა რაოდენობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია კიდევ ერთი სპეციფიკა:

ოჯახის გაყოფისას, მთელს საქართველოში, როგორც წესი, ან იმდენი მედიატორი აირჩეოდა, რამდენი ოჯახის წევრიც იყრებოდა და ისინი კიდევ ურთიერთშეთანხმებით უფროს მედიატორსაც ირჩევდნენ, ან კიდევ – მხარეები ყველა მედიატორს ურთიერთშეთანხმებით ირჩევდნენ.

უფროსი მედიატორი

უფროსი მედიატორის ინსტიტუტი საქართველოს ბევრ კუთხეში ფიქსირდება. ხშირად, როცა მხარეები თავ-თავის მედიატორს (ან მედიატორებს) დაასახელებდნენ, ამის შემდეგ ურთიერთშეთანხებით ირჩევდნენ უფროს მედიატორს, (იგივე „ზედამხედველ“ მედიატორს, „უმთავრეს“ მედიატორს) რომელიც ნეიტრალურობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფლად და კოლეგიის თავმჯდომარედ მიიჩნეოდა. ასეთი დაკომპლექტების წესი გვხვდება რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში.

ქართლსა და აჭარაში, მართალია, მედიატორებს მხარეები თანაბარი რაოდენობით ირჩევდნენ, მაგრამ აქ არ გვხვდება უფროსი მედიატორი.

სვანური ადათი განსაკუთრებით მძიმე და რთულ (როგორც წესი, მკვლელობის) საქმეებზე მედიატორთა კენტ ოდენობას აწესებდა და მხარეებიც ე.წ. „ნესგამეზი მარეს“ იგივე „ნესგანუ მეგნეს“ (ზოგიერთგან იგივე „მუწვერ“, „მუწვერ“) ირჩევდნენ. ზოგჯერ, უფროს მედიატორს მხარეთა მიერ თანაბარი რაოდენობით არჩეული მორევეები თავად ირჩევდნენ, ხოლო, ზოგიერთი მონაცემით, მას დაზარალებული ასახელებდა და დამნაშავეს აცილების უფლება არ ჰქონდა.

უფროსი მორევი ხანშიშესული, ადათის მცოდნე და გამოცდილი პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომელსაც „სამედიატორო სასამართლოს“ თავმჯდომარის როლი ენიჭებოდა და ჩვეულებრივ მორევთან შედარებით მეტი უფლებებით სარგებლობდა: ის არ უნდა ჩარეულიყო მორევთა შორის წამოჭრილ დავაში და ხელი არ უნდა შეეშალა კამათისათვის. ბოლოს კი შეეჯამებინა ყველას აზრი და „სამედიატორო სასამართლოსათვის“ თავისი შეხედულება მოეხსენებინა. სასჯელის განსაზღვრისას საბოლოო სიტყვა მას ეთქმოდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის აზრს მაშინაც, როცა მედიატორთა შორის წინააღმდეგობა იყო – იგი წინააღმდეგობის შერბილებას და საქმის მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობდა.

ზოგიერთ თემში უფროს მორევს უფლება ჰქონდა, მედიატორთა მიერ დადგენილი განაჩენით განსაზღვრული საზღაურის გარდა, მოპასუხე მხარისათვის დამატებით გარკვეული თანხაც დაეკისრებინა.

მედიატორთა გასამრჯელო

სვანურ სამართალში მორევთა საქმიანობისათვის დაწესებული იყო გარკვეული გასამრჯელო: „ლერქვაში“, „ნანბანიელი“ (იგივე „ნაღვრიელი“) და ათისთავი.

„ლერქვაში“ 3 მანეთის ღირებულების ნივთი გახლდათ, რომელსაც მორევეები განაჩენის გამოტანის შემდეგ, ოღონდ მის გამოცხადებამდე იღებდნენ, ხოლო „ნანბანიელ-ნაღვრიელს“ მხარეები მორევთა ხატზე დაფიცებისათვის ერთი მანეთის ოდენობით იხდიდნენ. თუ მორევეებს ორივე მხარე ერთდროულად აფიცებდა, თანხას სოლიდარულად გაინაწილებდნენ, ხოლო თუ ცალცალკე დააფიცებდნენ (როცა მოდავენი სხვადასხვა თემში ცხოვრობდნენ და მორევეები სხვადასხვა ტაძარში მიჰყავდათ დასაფიცებლად), მაშინ თითოეულ მხარეს სრულად უნდა გადაეხადა გასამრჯელო. რაც შეეხება ათისთავს, იგი დაზარალებულისათვის დამნაშავეს მიერ გადასახდელი სისხლის საფასურის (ე.წ. „წორის“) მეთაღია.

ხშირად მედიატორები უარს ამბობდნენ გასამრჯელოს მიღებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოდავენი ხელმოკლე ოჯახებს წარმოადგენდნენ.

„რჯულის კაცთა“ გასამრჯელოს ხევესურული სამართალიც იცნობს. ისინი იღებდნენ ძროხაზე თითო ცხვარს. როგორც წესი, მდიდარი კაცისგან – სრულად, ხოლო თუ მოწინააღმდეგეები ღარიბები იყვნენ, ან სულ არაფერს გამოართმევდნენ, ან მხოლოდ მცირედ გასამრჯელოს. შეიძლება, აღებული გასამრჯელო ხატისთვისაც შეეწირათ. გასამრჯელოს

ოღენობა პირდაპირპროპორციული იყო განაჩენის სიმძიმისა. რაც უფრო მეტი „დრამის“ გადახდას დააკისრებდნენ დამნაშავეს, მით მეტი გასამრჯელოს მიღების უფლება ჰქონდათ მხარეთაგან. თუ რჯული უშედეგოდ დამთავრდებოდა (თავად დაიშლებოდნენ შეუთანხმებლობის გამო, ან მხარე არ დათანხმდებოდა გამოტანილ „ნარჯულევს“), ხევსური მედიატორები გასამრჯელოს ვერ მიიღებდნენ.

ქართლ-კახეთში, სადაც მედიატორები ძირითადად ქონების გაყოფაზე მოიწვეოდნენ, მათთვის ასევე დადგენილი იყო გასამრჯელო, ხოლო რაჭაში, ოჯახის გაყოფის საქმეებზე მოწვეულ მედიატორებს განაცდური დღეების ასანახლაურებლად მხარეები თავისი სურვილით აძლევდნენ ნატურით თხას, ღორს ან რაიმე ნივთს, თუმცა, თვითონ შუაგაცვებს გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება არ ჰქონდათ. მსგავსი წესი ფიქსირდება იმერეთშიც, სადაც გაწეული გარჯისათვის მედიატორები საჩუქარს იღებდნენ, მით უმეტეს, თუ დიდი ქონება იყოფოდა და მხარეებს ჰქონდათ გასამრჯელოს მიცემის საშუალება. თუ ქონების გაყოფას დიდი დრო არ დასჭირდებოდა და, თუ ოჯახიც ხელმოკლე იყო, მედიატორს გასამრჯელოს არ აძლევდნენ.

სასამართლო პროცესის ადგილი და დრო

ხევსურულ სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა „რჯულის“ ჩატარების ადგილს – იგი ისეთ ტერიტორიაზე უნდა გამართულიყო, რომ არცერთ მხარეს არ ჰქონოდა პრივილეგია:

- თუ მოდავენი ერთი სოფლის მცხოვრებნი იყვნენ, „რჯული“ ხატის კარზე ტარდებოდა. ორივე მხარე მორიგეობით აქ მივიდოდა „რჯულის კაცებთან“ ან, შესაძლოა, ერთი (როგორც წესი, დამნაშავე) ხატის კარზე დაეხარებინათ, მეორესთან კი (როგორც წესი, დაზარალებულთან) თავად მისულიყვნენ შინ.

- თუ მხარეები სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი იყვნენ, „რჯული“ ე.წ. „სასწორში“ – ამ ორ სოფელს შორის შუა ადგილას უნდა გამართულიყო (თუ ორ მეზობელ სოფელში ცხოვრობდნენ, პროცესი საზღვარზე გაიმართებოდა).

ხშირად რჯული ჭალაში, წყლის პირას, გორაზე ან მთის წვერზე იმართებოდა. მოწინააღმდეგე მხარეები ისე განლაგდებოდნენ, რომ ერთმანეთი არ დაენახათ და საუბარი არ მოესმინათ. ეს მხარეთა შერიგების მიზანს ემსახურებოდა, რათა ჩვენების მიცემისას მხარის მიერ წარმოთქმულ მოუზომავ სიტყვას მორიგების პროცესისათვის არ ევნო.

„რჯული“ როგორც წესი, შაბათ-კვირას იმართებოდა. ზოგჯერ ღამით, რათა დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს არ შეხვედროდნენ და მოსამართლეებიც სადამოს უფრო მოიცლიდნენ „რჯულისთვის“, თუმცა ეს წესი მკაცრად რეგლამენტირებული არ ყოფილა და „რჯული“ დღისითაც შეიძლება გამართულიყო. ადათის თანახმად, ბჭობა სწრაფად უნდა დასრულებულიყო და ორ-სამ დღეზე მეტი არ დასჭირებოდა.

სვანურ მასალებში კი სამედიატორო სამართალწარმოების განსხვავებულ წესს ვხვდებით: სასამართლო კოლეგია, როგორც წესი, ყოველთვის თვითონ მიდის თითოეული მხარის ოჯახში (ისევე როგორც, მანამდე მოციქულები) და ადგილზე იღებს ჩვენებებს. „ლიმორავი“ სვანეთშიც, ძირითადად, შაბათ-კვირას იმართებოდა.

მხარეთა და მოწმეთა დაკითხვა

ამ საკითხს ხევსურეთის მაგალითზე განვიხილავთ:

როგორც უკვე ითქვა, მხარეებს ერთმანეთისგან მოშორებით დასხამდნენ. პირველ რიგში, „კაცშუაკაცებს“ გამოჰკითხავდნენ საქმის ვითარებას. მხარეთა ჩვენების ჩამოსართმევად თვითონ მედიატორები მივიდოდნენ ჯერ ერთთან, შემდეგ – მეორესთან. მოსარჩელე და მოპასუხე ერთმანეთს არ ხვდებოდა. მხარეებთან ერთად პროცესს მათი ახლო ნათესავებიც ესწრებოდნენ და შესაძლოა, რომელიმე მათგანს, უფრო მჭევრმეტყველს, მოდავის ნაცვლადაც ვლაპარაკა.

როგორც წესი, „რჯულის კაცები“ ჯერ მომჩივანს გამოჰკითხავდნენ, შემდეგ – მოპასუხეს (იგივე პრინციპი დასტურდება ყველა კუთხეში), ხოლო თუკი ორივე მხარე ერთდროულად მომჩივანიც იყო და მოპასუხეც, მაშინ გამოკითხვის რიგითობას წილისყრით ადგენდნენ და პირველად „წილით ნამარგალთან“ (ე.ი. ნარგებთან) მივიდოდნენ.

„რჯულის კაცები“ ერთ-ერთ მედიატორს დაავალდებდნენ მხარეთა ჩვენებების მოწინააღმდეგე მხარისათვის სიტყვასიტყვით გადაცემას. თუ მას რაიმე დეტალი გამორჩებოდა, სხვებიც მიეშველებოდნენ აზრის სრულყოფილად ფორმულირებაში. მედიატორები შეძლებისდაგვარად არბილებდნენ მხარეთა გამონათქვამებს ისე, რომ აზრი არ დაზიანებულყო. მათ არ უნდა დაეშვათ, რომ რომელიმე მხარის უხეში ფრაზა თუნდაც არაკორექტული ფორმით მიეტანათ მეორესთან. პირიქით, მოდავეებს ერთმანეთის მთხოვნელად და პატივისმცემლად წარმოაჩენდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მათში შერიგებისა და კომპრომისის განწყობა შეექმნათ.

„რჯულის კაცები“ იმდენჯერ მივიდოდნენ თითოეულ მხარესთან, რამდენჯერაც ამას საჭიროება მოითხოვდა. საბოლოო მიზანი მათ შორის კომპრომისის მიღწევა, ანუ ორივე მხარისათვის მისაღები საერთო განაჩენის გამოტანა გახლდათ. ამის გამო, შესაძლოა პროცესი მეორე დღესაც გაგრძელებულიყო.

მხარეთა დაკითხვის შემდეგ დაჰკითხავდნენ მოწმეებს. როცა მოწმეს მხოლოდ ერთი მხარე წარადგენდა, „რჯულის კაცები“ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაჰკითხავდნენ, თუ მის მიუდგომლობასა და კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ ეპარებოდათ (ეს წესი, მაგალითად სვანეთში არ მოქმედებდა). თუ ორივე მხარე წარმოადგენდა – ნებისმიერ შემთხვევაში დაჰკითხავდნენ მოწმეებს, მაგრამ მათი ჩვენებების შეფასებისას აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მოწმეთა პიროვნულ თვისებებს. შეიძლება, მოწმეები დაეპირისპირებიათ ერთმანეთისათვის ან მხარისათვის (მხარეთა დაპირისპირება სასისხლო საქმეებზე, ცხადია, არცერთ კუთხეში არ ხდებოდა). თუ მოწმე საქმისათვის მეტად მნიშვნელოვან ჩვენებას იძლეოდა, ე.ი. „ძირითადი მოწმე“ იყო, ის შესაძლოა ჯვარში დაეფიცებინათ. არაძირითად მოწმეს, რომელიც არაარსებით ჩვენებას იძლეოდა, არ აფიცებდნენ. თუ მოწმეს ფიცს დააკისრებდნენ, მაშინ საქმის განხილვა ანუ „ბჭობა“ უნდა გადაედოთ. მოწმის ფიცს არც „რჯულის კაცები“ ესწრებოდნენ და არც ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც იფიცებდა მოწმე, ე.ი. რომელმაც ეს მოწმე დაასახელა. ესწრებოდა მხოლოდ ე.წ. „ფიცის მაყურებელი“, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის ნათესავი იყო. სწორედ იგი გადასცემდა მოდავე მხარეს ინფორმაციას, თუ როგორ ჩატარდა დაფიცება და რა შედეგი მოჰყვა მას.

ე.წ. „ჭრა-ჭრილობის“ რჯულის დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო პროცესზე დაჭრილის მკურნალი ექიმის დასწრება, რომელმაც ზუსტად იცოდა, რა ხარისხის, რა სიმძიმის ჭრილობა მოარჩინა. მის ჩვენებას ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუმცა, „რჯულის კაცები“ თვითონაც ამოწმებდნენ მიყენებულ ჭრილობებს და გარკვეულ წარმოდგენას იქმნიდნენ მასზე.

სათათბირო ადგილი

- ხევსურეთში განაჩენის გამოსატანად „რჯულის კაცები“ განმარტოვდებოდნენ. თათბირს სხვა ვერავინ დაესწრებოდა. ვინ რა სთქვა, საიდუმლოდ ინახებოდა. „რჯულის კაცები“ რიგრიგობით გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს, კამათობდნენ და ბოლოს საერთო გადაწყვეტილებამდე მიდიოდნენ. შესაძლოა, დაედგინათ, რომ მხარისათვის თავის მართლების საშუალებათაგანი, მაგალითად, ფიცი დაეკისრებიათ (თუ ეჭვიმტანილი ან რომელიმე თანამოციცარი დაფიცებაზე უარს იტყოდა, ფიცი „გატყდებოდა“ და ეჭვიმტანილი დამნაშავედ ჩაითვლებოდა).

თუ დანაშაულის ჩადენა საეჭვო არ იყო, მხოლოდ „დრამის“ ოდენობაზე იმსჯელებდნენ. გაისხენებდნენ მსგავს პრეცედენტს. პირველ რიგში, ერთმანეთს მიმართავდნენ, თუ რა „ანდრეხი“ სმენიათ ასეთ შემთხვევაზე. ძველად ყველა საქმე „ანდრეხების“ მიხედვით ირჩეოდა და, თუ „ანდრეხს“ ვერ გაისხენებდნენ, „რჯული“ იშლებოდა, მაგრამ მოგვიანებით ხშირი იყო შემთხვევა, როცა „ანდრეხები“ აღარც ახსოვდათ.

თუ ორივე მხარეს იყო ჩადენილი დანაშაული, „რჯულის კაცები“ საზღაურის დადგენისას „გაბრას“ ანუ გაქვითვას მიმართავდნენ (ქართული სამართლის ძეგლები ამ ინსტიტუტს „ჩარონინებას“ უწოდებს) და „დრამას“ იმას დააკისრებდნენ, ვის მხარესაც იქნებოდა სხვაობა.

- სვანეთში განაჩენის გამოსატანად მედიატორები განსაკუთრებულ ადგილს შეარჩევდნენ ხოლმე, რაც წელიწადის დროსა და ამინდზე, ასევე გარემო პირობებზე იყო დამოკიდებული – მთავარი აზრი თათბირის საიდუმლოების უზრუნველყოფაში მდგომარეობდა, რის გამოც ზაფხულში სოფლის განაპირას, ხეებით დაჩრდილულ ადგილზე, სათბობში, ან მინდორში იკრიბებოდნენ, ხოლო ზამთარში, თოვლში, ქარსა და აედარში – სოფლის რომელიმე უკაცრიელ შენობაში.

თათბირი, საიდუმლო იყო და განაჩენის მხარეთათვის გამოცხადებამდე არ შეიძლებოდა საქმის ამა თუ იმ გარემოების გამჟღავნება, მაგალითად, როგორ წარიმართა მედიატორთა მსჯელობა, ვის რა პოზიცია ჰქონდა, ვის ემხრობოდა და რა განაჩენი იქნა გამოტანილი. თუ საიდუმლო გამჟღავნდებოდა, ორივე მოდავეს უფლება ეძლეოდა, მოეშალა ყველა პირობა და არ დამორჩილებოდა განაჩენს.

მსჯელობა შეიძლება ერთ შეკრებაშივე დასრულებულიყო ან ორი-სამი დღე, თუ მთელი კვირაც, ან ორი კვირაც კი გაგრძელებულიყო. იმ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილების გამოტანა გაჭიანურდებოდა, მოქმედებდა „ადგილის შეცვლის“ პრინციპი, რაც დაფუძნებული იყო სვანების წარმოდგენაზე, რომ სათათბიროდ შერჩეული ადგილი არასახარბიელო იყო მართლმსაჯულებისათვის და სასამართლო კოლეგიას ხელსაყრელი ადგილი უნდა მოეძებნა. არსებობს ერთი სვანური გადმოცემაც, რომლის თანახმად, მორევები მკვლევლობის ადგილიდან აუცილებლად აღმოსავლეთით იკრიბებოდნენ ხოლმე.

აზრის გამოთქმის რიგითობა:

სვანური ეთნოგრაფიული მასალა გვთავაზობს განაჩენის გამოსატანად შეკრებილ მედიატორთა მსჯელობის დეტალურ აღწერას, საიდანაც დგინდება, რომ თათბირის მიმდინარეობა გარკვეულ წესებს ექვემდებარებოდა, რაც, დიდი ალბათობით, ძველად საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც იყო დამახასიათებელი.

- პირველი წესი, დღევანდელი ყოფისათვის გაუცხოების მიუხედავად, მაინც საყოველთაოდ ცნობილია – იგი მოსმენის კულტურას შეეხება. ძველი დროიდან მოყოლებული XX საუკუნის 70-იანი და, ზოგ შემთხვევაში, უფრო გვიანდელი წლების სვანურ საზოგადოებაშიც ყველაზე დიდ უკულტურობად მიაჩნდათ მეორე ადამიანის

საუბრისათვის ხელის შეშლა, სანამ ეს უკანასკნელი თავის აზრს არ დაასრულებდა. ამიტომ წესი, რაც იმ პერიოდისათვის ბუნებრივად აღიქმებოდა და ეთნოგრაფიულ მასალებში ამის გამო მასზე საგანგებოდ ყურადღება არ მახვილდება, დღეს, შეიძლება, დიდი ასოებით გამოვეყოთ:

მედიატორები აუცილებლად ბოლომდე დაასრულებინებდნენ ხოლმე მიქმელს თავის აზრს (რაც არ უნდა უსაფუძვლოდ მოსჩვენებოდათ იგი) და როდესაც მოსაუბრე თავის სათქმელს იტყოდა, მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდნენ თავს უფლებას, გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება.

ამ თვალსაზრისით სვანური ყოფა მოგვაგონებს ამერიკის მკვიდრი ტომების ყოფას, როცა კოცონის ირგვლივ საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობისას მხოლოდ ის საუბრობდა, ვისაც სიმბოლური სალაპარაკო მოწივობილობა ეპყრა ხელთ, ხოლო დანარჩენები უსმენდნენ.

თავისი შეხედულების გამოთქმა ყველას შეეძლო დაწესებული უფროს-უმცროსობის რიგის მიხედვით:

- ზოგადად მიღებული წესით, პირველად მოსაზრებას ასაკით უხუცესი გამოთქვამდა. იგი თანმიმდევრობით ჩამოთვლიდა საქმის გარემოებებს, წარმოაჩენდა ყველაზე არსებითს მხარეთა სარჩელებში, ხაზს გაუსვამდა იმ ფაქტებს, რომლებიც დამტკიცდა ან არ დამტკიცდა და ბოლოს მიუთითებდა, თუ რა სასჯელს ითვალისწინებდა ადამი მოცემული დანაშაულისათვის ან რა საზღაური უნდა დაკისრებოდა დამნაშავეს.

შემდეგ აზრს გამოთქვამდნენ სხვა მორევეები ასაკის მიხედვით, ხოლო ახალგაზრდა მედიატორები სულ ბოლოს ჩაებმებოდნენ მსჯელობაში. ასაკოვანთა შემდეგ აზრის გამოთქმის წესს საფუძვლად ედო სვანების შეხედულება, რომ შედარებით გამოუცდელ მორევს გამოცდილთა აზრის მოსმენის შედეგად შეეძლო, თავისი პოზიცია დაეხვეწა და ცოდნაში გამოუცდელობით განპირობებული ხარვეზი შეევესო.

- იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლო შემადგენლობა პირველად სწორედ ასაკით უმცროსის მოსაზრებას გაეცნობოდა, რათა იგი არ დაჩვეულიყო მხოლოდ სხვების მოსმენას და სხვისი აზრის გაგონის ქვეშ არ მოქცეულიყო. როგორც ჩანს, საჭიროებისას, უკვე გამოცდილი სვანი მორევეები ახალბედათა დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებისათვის ზრუნავდნენ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამედიატორო სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის, შენარჩუნებისათვის.

ერთსულოვნების მიღწევის გზები

ხევსურული „რჯულით,“ მოსამართლეთა კოლეგიას განაჩენი ერთხმად უნდა მიეღო, ხოლო სვანური მასალებით, წერილმან დავებზე ხმათა უმრავლესობაც, შესაძლოა, საკმარისად მიეჩნიათ, მაგრამ რთულ და სერიოზულ საქმეზე გადაწყვეტილება აქაც აუცილებლად ერთსულოვნად მიიღებოდა.

ერთსულოვნების მისაღწევად მედიატორები სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, რაც დეტალურად შემოინახა სვანურმა ყოფამ:

- დაზარალებულის და დამნაშავეს მიერ არჩეული მორევეები, შესაძლოა, ცალ-ცალკე გასულიყვნენ სათათბიროდ: იმსჯელებდნენ, იკამათებდნენ და, როცა საერთო აზრს ჩამოაყალიბებდნენ, ისევ შეერთდებოდნენ და ერთმანეთს გააცნობდნენ საკუთარ პოზიციებს. ამის შემდეგაც შეიძლება კამათი შეთანხმების მიღწევამდე გაგრძელებულიყო. ასეთი წესი უფრო მეტად გამოიყენებოდა მკვლელობის საქმეებზე, როცა თითო მხრიდან 12-12 მორევი არჩევდა საქმეს.

- ორივე მხარის მორევები თავიანთი რიგებიდან ტოლი რაოდენობით გამოყოფდნენ წევრებს, რომელთაც ცალ-ცალკე უნდა ემსჯელათ და საერთო გადაწყვეტილებამდე მისულიყვნენ, შემდეგ კი თავიანთი აზრი მედიატორთა მთელი შემადგენლობისთვის მოეხსენებიათ. ამის შემდეგ უკვე ყველა ერთად იმსჯელებდა, თუ რამდენად სამართლიანი იყო გადაწყვეტილება. მორევთა შედარებით მცირე რაოდენობა უფრო ადვილად მიადწევდა შეთანხმებას, ვიდრე მათი მთელი შემადგენლობა და განაჩენის დადგენის ასეთი ხერხი საკმაოდ ეფექტური შეიძლება ყოფილიყო კონკრეტულ ვითარებაში, როდესაც ერთსულოვანი განაჩენის დადგენა ჭიანჭურდებოდა. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ ცალ-ცალკე გამოყოფილი ჯგუფიც ვერ შეთანხმებულყოფი და საერთო გადაწყვეტილება ვერ მიეღო.

- შესაძლოა, მორევები შეთანხმებულიყვნენ, რომ გამოყოფილი კაცების მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღარ განეხილათ და ყველა ერთსულოვნად მას დათანხმებოდა. ეს განსაკუთრებით მაშინ იყო ეფექტური, როდესაც მორევთა შორის აზრები რამდენიმე ჯგუფად დაიყოფოდა. მაგალითად, 5 სხვადასხვა ჯგუფად დაყოფილ მორევებს, შესაძლოა, თავიანთი ჯგუფებიდან თითო კაცი შეერჩიათ, რათა ამ უკანასკნელებს მიეღოთ გადაწყვეტილება, ხოლო დანარჩენები უყოყმანოდ დაეთანხმებოდნენ მათ მიერ დელეგირებული მოსამართლეების დადგენილებას.

- გამონაკლისის სახით, შესაძლოა, განაჩენი ან მისი კონკრეტული ნაწილი, მაგალითად, სისხლის ფასის („წორის“) ოდენობა ერთი კონკრეტული მორევისთვის მიენდოთ განსასაზღვრად და, ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში, დანარჩენები უპირობოდ მიიღებდნენ მის გადაწყვეტილებას. ეს, შესაძლოა, ამ რჩეული მოსამართლის დიდი ავტორიტეტით ყოფილიყო განპირობებული.

ეს წესები ძველად სხვა კუთხეებშიც რომ იქნებოდა გავრცელებული, ამის ერთგვარი ილუსტრაციაა ალ. ყაზბეგის „ელგუჯაშიც“ გვხვდება, რომელიც დეტალურად აღწერს მედიატორთა თათბირს: „რაკი მოსამართლენი მარტოკა დარჩნენ, დაიყვნენ ჯგუფებად და დაიწყეს ერთმანეთში მოლაპარაკება, შემდეგ ისევ შეგროვდნენ. უხუცესმა დაიჭირა თავისი ადგილი, სხვები უფროსობით ჩამომწკრივდნენ და უფროსობითვე დაიწყეს თავიანთი აზრის წარმოთქმა.“ შეუძლებელია, ამ სცენამ სვანეთის ეთნოგრაფიული სინამდვილე არ მოგვაგონოს.

შუალედური გადაწყვეტილება

ხევესურულ მასალებში ფიქსირდება წესი, როცა განაჩენის გამოტანა, შესაძლოა, გარკვეული ვადით გადაეღოთ რაიმე ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით და საბოლოო „ნარჯუღევის“ დადგენამდე ერთგვარი „შუალედური გადაწყვეტილება“ მიეღოთ. მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, იგი 4-5 წლითაც გადაუდიათ – სანამ დავის მონაწილე ბავშვები არ გაიზარდნენ და თვითონ, დამოუკიდებლად, ზეწოლის შიშის გარეშე არ მისცეს ჩვენებები მომხდარ ფაქტზე.

გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება

ხევესურული ადათით, „რჯული“ რაც შეიძლება სწრაფად (2-3 დღეში) უნდა დასრულებულიყო, რათა მხარეებს საბაბი არ მისცემოდათ, ურთიერთშორის შურისძიება და მტრობა აღედგინათ სასამართლოს გაჭიანურების მოტივით.

სვანეთში კი ფიქსირდება შემთხვევები, როცა განაჩენის გამოტანა ერთ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა, რაც მორევთა შორის აზრთა სხვადასხვაობით, შეუთანხმებლობით და

კონსესუსის მიღწევის აუცილებლობის გაცნობიერებით იყო განპირობებული. ასეთ დროს მხარეები თვლიდნენ, რომ მორევები განსაკუთრებულ ძალისხმევას მიმართავდნენ მათი დავის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად.

გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობა

მორევთა შეუთანხმებლობა ზოგჯერ განაჩენის გამოტანას საერთოდ შეუძლებელს ხდიდა. თუ, მოსაზრებათა განსხვავებულობის გამო, მედიატორები ვერაფრით შეჯერდებოდნენ, საქმე იშლებოდა განაჩენის დასადგენად მსჯელობის სტადიაზე. ისინი მოდავე მხარეებს არ უმხელდნენ, თუ რამ გამოიწვია განაჩენის გამოუტანლობა.

ხევისურეთშიც შესაძლოა, „რჯულის კაცებს“ შორის ყოფილიყო უთანხმოება, მაგრამ ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ამ წინააღმდეგობის დაძლევას. ხალხში სირცხვილად ითვლებოდა, რომ „რჯულის კაცები“ საერთო გადაწყვეტილებამდე ვერ მისულიყვნენ, მაგრამ, ცხადია, ასეთს მაინც ჰქონდა ხოლმე ადგილი და „რჯული“ გადაწყვეტილების მიუღებლად იშლებოდა. მედიატორები მხარეებს გამოუცხადებდნენ, რომ ვერ შეთანხმდნენ და ურჩევდნენ, სხვა „რჯულის კაცები“ მოეწვიათ. ცხადია, ამ შემთხვევაშიც საიდუმლოდ რჩებოდა თითოეული მედიატორის პოზიცია.

ქვის ჩაფვლა („ბაჩა ლილჯენი“)

სვანური ადათით, მას შემდეგ, რაც მედიატორები დაასრულებდნენ თათბირს და საერთო აზრზე შეჯერდებოდნენ, ისინი პროცესუალური თვალსაზრისით მეტად საინტერესო რიტუალს მიმართავდნენ: ერთ-ერთი მსაჯული აიღებდა პატარა ქვას, ხანჯლის წვერით ამოთხრიდა მიწას და შიგ ქვას ჩაფლავდა, რაც სიმბოლურად საქმის დასრულების და განაჩენის სიმტკიცის გამოხატულება გახლდათ. ქვის ჩაფვლას მოჰყვებოდა კიდევ საგანგებო „გარცემი“ (ფიც), რომელიც ამ ქვის დარად დასაფლავებას უქადდა მას, ვინც დროზე ადრე გაამჟღავნებდა განაჩენს, ან გათქვამდა თუ რომელი მოსამართლე რა პოზიციისა იყო გადაწყვეტილებაზე თათბირის მომენტში. აღნიშნულ ფიცს დანარჩენი მორევები „ამინით“ ადასტურებდნენ.

ამას პირველ რიგში ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ თუ რომელიმე მოდავე მხარე მსაჯულთა განაჩენის შინაარსს მის საჯაროდ გამოცხადებამდე შეიტყობდა, შერიგების პირობებით უკმაყოფილობის შემთხვევაში, ნება ჰქონდა, არ შეეწყნარებინა გარიგება და ჩაეშალა მედიაციის პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ განჩინების გამოტანიდან მის გამოცხადებამდე, შესაძლოა, არა მხოლოდ რამდენიმე დღე, არამედ – რამდენიმე თვეც კი გასულიყო.

მეორე მხრივ, ასეთი წესით თავად მედიატორის პიროვნება იყო დაცული, რათა მსაჯულის პოზიციით უკმაყოფილო მხარეს მის მიმართ მტრობა არ ჩაედო გულში. ამიტომ, ზოგჯერ მორევები განაჩენის განუცხადებლობასა და ერთმანეთის ნააზრვეის გაუთქმელობაზე საქმის დაწყებამდეც იფიცებდნენ.

მედიატორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა საიდუმლოდ შენახვის წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება და იგი „სამედიატორო სასამართლოს“ სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი ქვაკუთხედაა.

განაჩენის გამოცხადების ადგილი

ხევსურეთში განაჩენი „რჯულის“ ჩატარების ადგილას მხარეებს ცალ-ცალკე გამოეცხადებოდა: ერთ-ერთი „რჯულის კაცი“ წამოდგებოდა, ქუდს მოიხდიდა და დაზარალებულსა და მოპასუხეს ამცნობდა რჯულის გადაწყვეტილებას. როგორც წესი, პირველად იმ მხარეს გამოეცხადებდნენ, რომელსაც „დრამის“ გადახდა ევალებოდა.

სვანეთში განაჩენის გამოცხადების მეტად მრავალფეროვანი და განსხვავებული წესები არსებობდა, რომელთაც ხშირად საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოეძებნება ანალოგი:

- ფიცის შემდეგ (მხედველობაშია „ტოლობის“ და „ერთგულების“ ფიცი) მომჩივანი და მოპასუხე თავთავიანთ სახლებში მიდიოდნენ. მედიატორებიც ორად გაიყოფოდნენ განაჩენის გამოსაცხადებლად. ერთი ნაწილი მომჩივანის, მეორე – მოპასუხის ოჯახში წავიდოდა. ასე აცხადებდნენ განაჩენს ფშავშიც.

- შესაძლოა, მორევები მხარეებთან ერთად ეკლესიის ეზოში შეკრებილიყვნენ, თავად შუაში ჩამდგარიყვნენ და ისე წაეკითხათ განაჩენი. ეს წესი ხევსურეთშიც ფიქსირდება, როცა ხატის კარზე ხდებოდა საქმის განხილვა.

- უფრო მეტად გავრცელებული იყო შემდეგი წესი – განაჩენის გამოცხადება დამნაშავე მხარის ოჯახში დაზარალებულის ოჯახის წევრთა თანდასწრებით, რომლებიც იქ მორევებს მიჰყავდათ (ეს წესი ფშავშიც გვხვდება):

ფიცის ცერემონიალის შემდეგ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით დაინიშნებოდა განაჩენის გამოცხადების დრო და ადგილი. გამომცხადებელი მორევი (ე.წ. „მუუშხე“) მჭევრმეტყველი უნდა ყოფილიყო. მედიატორები უმთავრესად დამით მიდიოდნენ დამნაშავეს ოჯახში და დაზარალებულსაც იქ იბარებდნენ. დამნაშავე ვალდებული იყო, მოსულეებს გამასპინძლებოდა.

სტუმრებს (დაზარალებულის „სამხუბს“) მკვლელის ნათესავები ეგებებოდნენ, ხოლო თვითონ დამნაშავე, მისი ძმები და ახლობლები დამალული იყვნენ. მოსულეები და დამხვდურები არევიტ უნდა დამსხდარიყვნენ წინასწარ მომზადებულ სუფრასთან. მკვლელის ოჯახში მოკლულის სამხუბის წევრი შედიოდა, ხსნიდა კერის თავზე ჩამოკიდებულ ჯაჭვს („ნაჭას“) და გამოიტანდა კარში, ცეცხლზე კი წყალს დაასხამდა. დამნაშავეს კერაზე წყლის დასხმა მორევებს შეეძლოთ შერიგების შემდეგ, რითაც დაზარალებულის ოჯახი მეტად კმაყოფილი რჩებოდა. კერაზე წყლის დასხმა სიმბოლურად ოჯახის აყრას, დაღუპვას და გაქრობას ნიშნავდა.

სუფრაზე წამყვანი ადგილი „მუუშხეს“ ეკავა. შეისმებოდა სამი ტრადიციული სადღეგრძელო: დიადი ღმერთის, სიმრავლის მომცემელი მთავარანგელოზის და წმინდა გიორგის. ამის შემდეგ „მუუშხე“ ჩამოაყალიბებდა საქმის მდგომარეობას, მომხდარ დანაშაულს და შერიგების პირობებს, ანუ აცხადებდა განაჩენს. შემდეგ თხოვნით მიმართავდა ორივე მხარეს, რომ მათ ერთმანეთში მშვიდობიანობა დაემყარებინათ. ამის შემდეგ გამოდიოდა მკვლელი და მოკლულის სამხუბს პატიებას შესთხოვდა. იგი ჩოქვით მიდიოდა მოკლულის მამასთან, ძმასთან ან სხვა მოძმესთან („მეხუბრარ“) მორჩილების ნიშნად ხელის ნეკები გადაჭლობილი ჰქონდა. უკან კი მთელი „ძირიშ-მეხუბრარი“ (ახლო ნათესავები) მიჰყვებოდნენ. ის ითხოვდა შეწყალებას, შესახვეწად აძლევდა უღელ ხარს. იმავე სიტყვებს იმეორებდნენ მისი სამხუბის წევრები. შემდეგ მოკლულის სამხუბთან კათხების გაცვლით სვამდნენ არაყს. დასაჩუქრება ამ დროს წვრილმანებით ხდებოდა. ის თოფი, რომლითაც მკვლელობა იყო ჩადენილი, როგორც წესი, დაზარალებულ მხარეს გადაეცემოდა.

- მოგვიანებით არსებული წესებით, დამნაშავე აღარ იმალებოდა და მისი ოჯახი დაზარალებულის ოჯახის წინ იჯდა, შუაში კი მორევები სხდებოდნენ. დაზარალებულს არ სიამოვნებდა მკვლელის მის ოჯახში ჯდომა, მაგრამ სვანური ადათი ავალებდა ამას. ისინი მთელი დამე ისხდნენ, არ სვამდნენ, არ ჭამდნენ, ფიქრობდნენ იმაზეც, რომ საფასურის აღება სამუდამო ჩირქს სცხებდა მათ გვარსა და შთამომავლობას (დიდი სირცხვილი იყო სისხლის

აუღებლობა). მკვლელი და მისი ოჯახის წევრები კი თავის მხრივ ძალზე განიცდიდნენ, რომ სისხლის საფასურის გადახდა მათი ამდენი ხნის ნაშენები ოჯახის აოსრების, განადგურების ტოლფასი იყო. ამიტომაც, რომ სუფრის უფროსს მრავალგვარი საბუთი მოჰყავდა შესარიგებელი მხარეებისთვის, რომ მედიატრობა, მორევობა ღვთისგან გაჩენილია, „წორის“ მიცემა და მიღება კი ახალი საქმე არაა და იგი არავინ უნდა იუკადრისოს.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ, რომელსაც ყველა მდუმარედ ისმენდა, სუფრის უფროსი ყანწს დამნაშავეს გადააწოდებდა. შესაძლოა, მხარეთა შორის ნათესაური კავშირიც დამყარებულიყო. ამ მიზნით ეწეობოდა ნათლობა და შვილობილობა (ეს წესი მთელს საქართველოში იყო გავრცელებული). მხარეთა შერიგებას თან ახლდა გადაკოცნა, ხელის ჩამორთმევა და სადღეგრძელოს ვახტანგურად შესმა.

- ზოგჯერ, როცა მხარეები ერთმანეთისგან მოშორებით სხვადასხვა საზოგადოებაში ცხოვრობდნენ, განაჩენი რიგრიგობით ცხადებოდა ჯერ დაზარალებულის, შემდეგ დამნაშავეს ოჯახში. მორევები მხარეთა გარეშე ჯერ ერთ ოჯახში მიდიოდნენ (უფრო დამნაშავეს), ხოლო შემდეგ – მეორესთან და ცალ-ცალკე აცხადებდნენ განაჩენს. დაზარალებულის ოჯახში განაჩენის გამოცხადებისას ადგენდნენ, თუ როდის უნდა ჩაებარებინა დამნაშავეს „წორი.“ როცა დაზარალებული ამ საზღაურს მიიღებდა, მედიატორები მხარეებს საბოლოო შერიგების მიზნით შეახვედრებდნენ.

განაჩენის გამოცხადების გადავადება

სვანეთში ზოგჯერ განაჩენის გამოცხადება ფიცის ცერემონიის დღესვე კი არ ხდებოდა, არამედ რამდენიმე დღის, კვირის ან თვის შემდეგ. ამის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ მორევები ხელმოკლე დამნაშავეს გადასახდელი თანხის შეგროვების შესაძლებლობას აძლევდნენ. გამოცხადების შემდეგ აღსრულების გაჭიანურება ჩვეულებითი სამართლით მიუღებელი იყო, რადგან ეს დაზარალებულს განაჩენის შეუსრულებლობის მოტივს უქმნიდა და შესაძლოა, მისი მხრიდან შურისძიებისათვის ხელ-ფეხის გახსნის ნიშნად გამომდგარიყო. ამიტომ, რადგან განაჩენის გამოცხადებამდე, მისი საიდუმლოების დაცვის პირობებში, შურისძიებაზე ტაბუ იყო დადებული, მორევები ცდილობდნენ, განაჩენის გამოცხადებისა და დამნაშავეს მიერ მისი სრულად შესრულების ვადა მაქსიმალურად დაეახლოვებინათ, რათა ამ დროში მას მოეხერხებინა „წორის“ მთლიანად შეგროვება. საზღაურის გადახდაში იმ ნათესავეებსაც შეჰქონდათ თავიანთი წვლილი, ვისზეც შესაძლოა შურისძიება გავრცელებულიყო.

განაჩენის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე მორევი აცნობებდა მხარეებს, რომ ამა და ამ დღეს შედგებოდა განაჩენის გამოცხადება.

განაჩენის აღსრულების გადავადება და განაწილვალება

სვანური ადრით, „წორის“ გადახდა ორი კვირიდან ერთ თვემდე იყო დადგენილი. გადახდისუუნარო დამნაშავე შურისძიების შიშით, შესაძლოა, სოფლიდან ოჯახიანად აყრილიყო და გადახვეწილიყო კიდევ. თუმცა, ისეც შეიძლება მომხდარიყო, რომ ხელმოკლე დამნაშავეს განაჩენის აღსრულების გადავადების თხოვნით მიემართა მორევთათვის, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებში ერთ წლამდე ახანგრძლივებდნენ ამ ვადას ან გადახდას ეტაპობრივად დააკისრებდნენ მას.

თუ გადახდამდე დიდი დრო გავიდოდა, მორევები მხარეებს ხელახლა შეახვედრებდნენ სუფრაზე, რითაც ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ საჭირო იყო გადახდის დაჩქარება.

თანაც, ამ შესვენდრით, ერთგვარად „აქარწყლებდნენ“ კიდევ გაშვებულ დროს და „განაახლებდნენ“ საპროცესო ვადას.

ხევისურეთში, თუ ორივე მხარე დათანხმდებოდა „ნარჯულევს“ და იგი „დრამის“ გადახდას ითვალისწინებდა, განაჩენი ან მაშინვე აღსრულდებოდა, ან გარკვეული დროის შემდეგ. უკანასკნელ შემთხვევაში ვადას, როგორც წესი, „რჯულის კაცები“ განსაზღვრავდნენ, თუმცა ძირითადად, „დრამა“ მაინც მოკლე ვადაში უნდა გადაეხადა დამნაშავეს.

განაჩენის აღსრულების სავალდებულობა

განაჩენი შეიძლება ყოფილიყო სავალდებულო (როგორც სვანეთში) ან ფაკულტატიური (როგორც თუშ-ფშავ-ხევისურეთსა და რაჭაში).

- ცხადია, სვანი მორევები მაქსიმალურად ცდილობდნენ ისეთი განაჩენი გამოეტანათ, რომელიც აღსრულებადი იქნებოდა, მაგრამ ამ კუთხეში აღსრულება „ერთგულების ფიცითაა“ უზრუნველყოფილი. ღვთის სასჯელის შიშით მორევთა მიერ გამოტანილი განაჩენის შეუსრულებლობა ფაქტობრივად გამორიცხული იყო (თანაც, დამნაშავეს მიერ განაჩენის შეუსრულებლობა დაზარალებულს ფიცისგან ათავისუფლებდა), ამიტომ ძველი მონაცემებით, ამ ეტაპზე მორევთა საქმიანობა დასრულდებოდა – ფიცის ფაქტორი მთლიანად უზრუნველყოფდა განაჩენის აღსრულებას.

მოგვიანებით, მორევები (საგანგებოდ არჩეული რამდენიმე კაცი) აქტიურად მონაწილეობდნენ განაჩენის აღსრულებაში. დრომ მოიტანა ისიც, რომ დაზარალებულს ზოგჯერ წერილობით უნდა დაედანტურებინა „წორის“ მიღების ფაქტი.

გადაწყვეტილების შესრულება ქართლშიც გარანტირებული იყო მხარეთა ფიცით, რომლითაც ისინი მედიატორთა წინაშე პირობას დებდნენ, რომ დაემორჩილებოდნენ გამოტანილ განაჩენს. ფიცის ცერემონია საქმის განხილვის დაწყებამდე ტარდებოდა. ქართლშიც გადაწყვეტილების აღსრულებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მედიატორები.

- როცა სასამართლო გადაწყვეტილება ფაკულტატიურ ხასიათს ატარებდა. განაჩენის აღსრულება მთლიანად მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული.

ხევისურეთში, მაგალითად, თუ რომელიმე მხარე „ნარჯულევს“ უსამართლოდ ჩათვლიდა, შეეძლო, ახალი „რჯული“ მოეთხოვა. განაჩენის გამოცხადებისას ხშირად „რჯულის კაცები“ ამბობდნენ: „ან ჩვენი განაჩენი შეასრულეთ, ან სხვა „რჯულის კაცები“ შეკრიბეთ.“ არცთუ იშვიათად, მედიატორები სთხოვდნენ კიდევ მხარეებს, მიეღოთ მათ მიერ გამოტანილი განაჩენი და დათანხმდებოდნენ შერიგების პირობებს.

ამრიგად, „რჯულის კაცების“ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სავალდებულობაზე საუბარიც ზედმეტია, მაგრამ, როგორც წესი „ნარჯულევი“ მხარეების მიერ მოწონებული იყო, რისი გარანტიაც „რჯულის კაცთა“ პიროვნული თვისებები და მათი „ნარჯულევის“ ობიექტურობა გახლდათ. განაჩენის აღსრულების მაღალი ალბათობა „რჯულის“ ჩატარებაზე მხარეთა თანხმობაშიც იყო ჩადებული: ისინი დაინტერესებული იყვნენ, რომ შურისძიება თავიდან აეცილებინათ, ხოლო განაჩენის მიუღებლობისა და შეუსრულებლობის შემთხვევაში, კვლავ მტრებად დარჩებოდნენ. ასეთი პერსპექტივა მათთვის არ უნდა ყოფილიყო მისაღები („რჯულზე“ თანხმობა ხომ ამას მეტყველებს).

ზოგჯერ, როცა დამნაშავეს ხელმოკლეობის გამო არ შეეძლო დაკისრებული „დრამის“ გადახდა, თუნდაც მისი ოდენობა სამართლიანად ყოფილიყო განსაზღვრული, მას შეიძლება, მაინც უარი ეთქვა „ნარჯულევიზე.“ ასეთ დროს მედიატორები ეხვეწებოდნენ დაზარალებულს, რათა იგი უფრო მცირე „დრამას“ დასჯერებოდა, ვიდრე რეალურად ეკუთვნოდა.

თუ რომელიმე მხარე აშკარად უკმაყოფილო იქნებოდა განაჩენით, იგი არ დათანხმდებოდა „ნარჯულევს“ და ახალი რჯულის ჩატარებას მოითხოვდა. „რჯულის“ ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში ახალ შემადგენლობაში ზოგჯერ ძველი კოლეგიის რომელიმე ან რამდენიმე წევრსაც მოიწვევდნენ.

თუ მხარეები განაჩენს მოიწონებდნენ, „რჯულის კაცები“ აღსრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: გაემართებოდნენ გადახდაზე ვალდებულ მხარესთან, გამოართმევდნენ „დრამას“ და მიუტანდნენ დაზარალებულს. როცა „დრამის“ გადასაცემად დაზარალებულის ოჯახში მიდიოდნენ, დამნაშავეც თან მიჰყავდათ შესარიგებლად. მას მიჰქონდა არაყი, ბოლიშს მოუხდიდა დაზარალებულს და გაიშლებოდა შერიგების სუფრა. თუ ორივე მხრიდან იყო ზიანი, ჯერ ერთი მხარე მივიდოდა მეორესთან (ის, რომელმაც უფრო მძიმე ჭრილობა მიაყენა და ამიტომ „დრამა“ უნდა გადაიხადოს), გარკვეული დროის შემდეგ კი, მეორე მხარეც გაემართებოდა პირველთან თავისი სასმელით.

საზღაურის პატიება

ხევსურეთში დაზარალებულს შეეძლო დამნაშავისათვის ეპატიებია „დრამის“ ნაწილი ან მთელი საზღაური, განსაკუთრებით მაშინ, თუ მხარეები ნათესავები იყვნენ ან დანაშაული განზრახვის გარეშე, შემთხვევით მოხდა, ან კიდევ დამნაშავის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

სვანეთშიც დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა, თავისი ინიციატივით შეემცირებია ან საერთოდ ეპატიებია დამნაშავისათვის სისხლის ფასი. დაზარალებულის მხრიდან გადასახადის მიუღებლობა განაჩენისადმი დაუმორჩილებლობად არ ჩაითვლებოდა, თუ ეს კეთილშობილური მიზნით ხდებოდა და იგი ამ აქტით შერიგებაზე უარს არ ამბობდა.

ხევის მასალებში ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ოჯახის უფროსი საზღაურს მიიღებდა, მას შეეძლო, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი ეთქვა ამ თანხაზე. იგი გამოაცხადებდა, რომ თანხის ერთ ნაწილს პატიობს თემს, მეორე ნაწილს – ვინმე კონკრეტულ პატივსაცემ პიროვნებას, მესამე ნაწილს – კიდევ ვინმეს: ნათესავს, ქალ-დისწულს და ა.შ. ხოლო რაც დარჩებოდა (თუ დარჩებოდა რაიმე), დაიტოვებდა ოჯახისთვის.

გადაწყვეტილების გასაჩივრება

ქართულმა ადათობრივმა სამართალმა თითქმის ხელუხლებლად შემოგვინახა მედიაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლის თანახმად, „სამედიატორო სასამართლოს“ **გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

გადაწყვეტილება შეიძლება ყოფილიყო სავალდებულო (როგორც სვანეთში), ან ფაკულტატიური (როგორც ხევსურეთში, ასევე, თუშეთში, ფშავსა და რაჭაში), მაგრამ იგი არ საჩივრდებოდა. თუ რომელიმე, ან ორივე მხარე გადაწყვეტილებას არ დაეთანხმებოდა, შეეძლოთ, ახალი სამედიატორო შემადგენლობის არჩევაზე ეზრუნათ, მაგრამ წინა სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელმეორედ არჩეულთათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ყოველი შემდეგ არჩეული შემადგენლობა პირველის თანასწორად მიიჩნეოდა: წინა სასამართლომ მხარეთა შერიგების მიზანს ვერ მიაღწია, ახლა კი აირჩიეს სრულიად ახალი, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების გამოტანას უნდა შეეცადოს. სხვათა შორის, არსებობს ხევსურული გადმოცემა, რომ ადათი „რჯულის“ ცხრაზე მეტი ოდენობით ჩატარებას კრძალავდა.

XVIII-XIX საუკუნეების ძეგლებითაც დასტურდება, რომ „სამედიატორო სასამართლოს“ განაჩენი არ საჩივრდება, თუმცა, მათში ასევე იკვეთება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მედიატორთა საქმიანობის გაკონტროლების მცდელობა:

დავით ბატონიშვილი „საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვაში“ აღნიშნავს, რომ, თუმცა „სამედიატორო სასამართლოს“ გადაწყვეტილება საბოლოოა და აპელაციას არ ექვემდებარება, ყოფილა შემთხვევები, როდესაც მედიატორთა განაჩენი სამეფო სასამართლოში გასაჩივრებულა და მეფეს დაუნიშნავს რამდენიმე პირი, რომელთაც ეს საქმეები გაურჩევიათ, ხოლო „საქართველოს ჩვეულებით სჯულში“ პირდაპირ არის მითითებული, რომ მეფე ან მოცემული რეგიონის მოხელე განიხილავდა მედიატორთა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ამ გადაწყვეტილების მოშლაც შეეძლო. საყურადღებოა, რომ ეს წესი ლენხუში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა XVIII საუკუნის II ნახევარში ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების მიერ მთიულეთისათვის შედგენილი „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა,“ რომელიც პირდაპირ კრძალავს ბატონიშვილთა უნებართვოდ, მხარეების მიერ ამორჩეული ბჭეების მეშვეობით მორიგებას. მეტიც, უნებართვოდ დასმულ ბჭეებს ხელისუფალნი „ავად მოპყრობით“ ემუქრებიან. ცხადია, მთიულეთში მხარეები თავისი შეხედულებით, ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ნებართვის გარეშე ირჩევდნენ მედიატორებს, რომლებიც სხვადასხვა სახის საქმეს განიხილავდნენ და მოდავეებს არიგებდნენ, მაგრამ აშკარაა, რომ ბატონიშვილები ცდილობენ, „სამედიატორო სასამართლოს“ საქმიანობა საკუთარ იურისდიქციას დაუქვემდებარონ.

სულ ბოლო კითხვა, რომელზეც ქართული მედიაციის ისტორიამ ასევე პასუხი უნდა გასცეს, დღეს, თამარ მეფის სამშობლოში, განსაკუთრებული ინტერესით დაისმის:

აძლევს თუ არა ქართული სამართალი ქალს მედიატორობის უფლებას?

ღვთისმშობლის წილხვედრი და წმ. ნინოს მიერ მოქცეული ქვეყნის მატთანემ ქალთა მედიაციის კლასიკური მაგალითი შემოგვინახა – XII საუკუნის 80-იან წლებში კრავია ჯაყელის და ხვაშაგ ცოქალის მოციქულობა ყურთლუ-არსლანის დასსა და თამარ მეფეს შორის წარმოშობილი უთანხმოების გადასაჭრელად. გარდა ამისა, ძველ საქართველოში ადმინისტრაციული თანამდებობის პირს სასამართლო საქმეთა წარმოებაც შეეძლო და, ცხადია, თუ ის ქალი გახლდათ, ჩვეულებრივად განახორციელებდა მართლმსაჯულებასაც: მეფე (თამარი და რუსუდანი), დედოფალი (დარეჯანი), ამა თუ იმ კუთხის მთავრის მეუღლე (ეკატერინე დადიანი) განიხილავდა სასამართლო დავებსაც, რომელთა გადაწყვეტისას მას, დავის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება „სასამართლო მედიატორის,“ მომრიგებელი მოსამართლის როლიც შეეთავსებინა.

რაც შეეხება ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, ხევსურეთში, მაგალითად, „რჯულის კაცად“ ქალის არჩევა არ შეიძლებოდა, მაგრამ საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ხევსური სინანულსაც კი გამოთქვამდა, რადგან მათი აზრით, ხევსურეთში მრავლად იყვნენ ჭკვიანი ქალები, რომლებიც მამაკაცებზე არანაკლებ მედიატორობას შესძლებდნენ.

ქალის „მორეობა,“ ზოგადად, არც სვანეთში იყო მიღებული, თუმცა გამონაკლისის არსებობაზე მიუთითებს სამართლიანი და გონიერი ქალის ეპითეტად სვანურ ენაში არსებული გამოთქმა: „მორვე ზურაალ ლოქ ლი“ („მორვე“ ქალი არის) და ეთნოგრაფიული

მასალებით დაფიქსირებული გადმოცემები ქალთა მედიატორობის ერთეულ შემთხვევებზე, კერძოდ:

- ქალის მოციქულობა მესისხლეთა შესარიგებლად;
- ქალის მედიატორობა ქალთა შორის წარმოშობილ დავებზე;
- და, უკიდურესი გამონაკლისის სახით, ქალის მონაწილეობა მამაკაც მედიატორებთან ერთადაც კი.

როგორც ჩანს, ეს გამონაკლისები იმით იყო განპირობებული, რომ მთელი კავკასიის მასშტაბით, სვან ქალებს გამორჩეულად დიდი უფლებები გააჩნდათ. მაგალითად, ქალი, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა ოჯახის უფროსიც გამხდარიყო და მთელ ოჯახს და, მეტიც, მომავალში ამ ოჯახიდან წარმოშობილ საგვარეულო შტოსაც („სამხუბსაც“) კი მისი სახელი წოდებოდა. ასევე, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა სოფლის ყრილობაში მამაკაცის ნაცვლად ქალის მონაწილეობაც:

- თუ მამაკაცი ყრილობას რაიმე მიზეზით ვერ ესწრებოდა;
- თუ ქალი მისივე ოჯახის წევრ მამაკაცებზე მეტად იყო ცნობილი თავისი ჭკუა-გონებით.

თავისუფლების ასეთ მაღალ ხარისხს კი, თავის მხრივ, ორი ძირითადი მიზეზი ედო საფუძვლად:

I. მთის მკაცრი საცხოვრებელი პირობების გამო ქალის შრომა ტოლს არ უდებდა მამაკაცისას. სოციალური ფუნქციის ზრდა კი პირდაპირ-პროპორციულად აისახებოდა უფლებრივ მდგომარეობაზეც. მამაკაცთა დიდი ნაწილი ზამთარში სახლში კერძოსთან უქმად ჯდომას, ბარში დღიურ სამუშაოებზე წასვლას ამჯობინებდა. სვანები არა მხოლოდ მეზობელ სამეგრელოსა და იმერეთში, არამედ შორეულ კახეთსა და მესხეთშიც დადიოდნენ ე.წ. „სამუჩიროდ,“ რაც ძირითადად დურგლობას, მშენებლობას, სეზონურად – თიბვას, ბარვას თუ სხვა ტიპის შრომას გულისხმობდა. ამ დროს სახლში უფროსად ქალი რჩებოდა, რომელზეც მთელი ოჯახის გაძღოლის მძიმე ტვირთი გადაინაცვლებდა.

II. სვანი ქალის თავისუფლების ხარისხს ყოფით პირობებთან ერთად რელიგიური-იდეოლოგიური ფაქტორიც ხელს უწყობდა: ქრისტიანული სარწმუნოება, ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული ისლამისგან განსხვავებით, ქალს ბევრ საკითხში მამაკაცთან ათანაბრებდა.

ამრიგად, სვანური ადათი მკაცრად არ კრძალავდა ქალის მედიატორობას, თუმცა ზოგადად, ამის საჭიროება დღის წესრიგში იშვიათად დგებოდა. თანაც, მძიმე სასისხლო საქმეებზე ქალის მედიატორობას, როგორც წესი, ყრიდებოდნენ, ხოლო თუ იგი მაინც მონაწილეობდა – ფიცს არ ადებინებდნენ.

გურიის ეთნოგრაფიული მასალებით ასევე დადასტურებულია იშვიათ შემთხვევებში ქალის მედიატორად არჩევა ცოლ-ქმრის გაყრისა და საოჯახო ქონების გაყოფის საქმეებზე. მსგავსი მსუბუქი ხასიათის დავების მოსაგვარებლად ქალთა მედიაცია არც სხვა კუთხეებისათვის უნდა ყოფილიყო მთლად უცხო მოვლენა.

დასასრულ, ვინაიდან წინამდებარე ტექსტი ძველი ქართული „სამედიატორო სასამართლოს“ მხოლოდ მოკლე სქემატურ მიმოხილვას ისახავდა მიზნად, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, უფრო დეტალურად შესწავლის მიზნით, დამოუკიდებლად გაეცნოს მოცემული ტექსტის საფუძვლად გამოყენებულ სამეცნიერო ლიტერატურას:

- I. *დავითაშვილი გ.*, სამედიცინო სასამართლო ანუ „რჯული“ ხეცურეთში, თბ. 2001.
დავითაშვილი გ., სამედიცინო სასამართლო სვანეთში, თბ. 2002.
დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ. 2004.
- II. *კეკელია მ.*, დავის გამრჩევ პირთა სახელწოდებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში (V-X სს), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, №2, თბ. 1972.
კეკელია მ., ტერმინ „ბჭის“ შინაარსისათვის ქართული სამართლის წიგნებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, №4, თბ. 1973.
კეკელია მ., ფიცი სვანეთის ჩვეულებით სამართალში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, III, თბ. 1979.
კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. II, თბ. 1981.
- III. *ნადარეიშვილი გ.*, რატომ ეწოდებოდა მოსამართლეს „ბჭე“ ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, №3, თბ. 1978.
- IV. *წულუკიანი ა.*, სვანური ბჭე-მედიცინორული სასამართლო, ქართული ჩვეულებითი სჯული, ჟურნ. სახელმწიფო და სამართალი, №9, თბ. 1990.
- V. *ონიანი ს.*, ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში, სამართლის ჟურნალი, №2, თბ. 2013.

შეადგინა სულხან ონიანმა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი